პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური ⊕ თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქტორთან საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—43.
ხელისმოწერის ფასი: [illegible]
75 „ დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. [illegible] სამგლოვიარო—25 კ. [illegible] დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება [illegible]

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—30.

სამშაბათი, 15 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 211 (1366)

დღიური

— სექტემბრის დამლევს ბულგარეთში [illegible] კავს, რომელთაც [illegible] კომპარტიის [illegible] ელი კომიტეტის წევრობა.

— 12 სექტემბერს დამთავრდა ერთა ლიგის სესია.

— გერმანიის პრესის ცნობებით, საფრანგეთსა და რუმინეთს შორის დადებულია საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის და უნგრეთის წინააღმდეგ

ნანსიური ბლოკადა და ფინანსიური თავდაცვა

ულიად საკავშირო საბჭოთა ე ყრილობაზე გაკეთებულ მოხ- ბაში საბჭოთა კავშირის ფინან- სახკომისარმა ამხ. სოკოლნი- ა, სხვათა შორის, აღნიშნა: „ჩვენ ქბადებული გვაქვს ფინანსიური კადა. ეს სრულიად უდავო ფაქ- და ამ ფაქტს ჩვენ უნდა მივაქ- ი მშრომელთა მასების განსა- ებული ყურადღება“.

ამი გამოიხატება ფინანსიური კადა და რატომაა საჭირო ამ ასათვის მცხოვრებთა ფართო ბის ყურადღების მიპყრობა.

ალხო მეურნეობის მთელი სის- ის აღსადგენად, გასაფართოებ- და განსამტკიცებლად ჩვენთვის როა დიდი თანხები. ევროპის ამერიკის ფულის ბაზარზე თა- ფალ კაპიტალის არსებო- გამო, ჩვენ შეგვეძლო ის გვეყენებია, მაგრამ მიუხედავათ ებლობისა, რომელიც მოჰყვება თა კავშირში უცხოეთის კაპიტა- დაბანდებას, უკანასკნელი ჯერ- ბით არ შემოდის ჩვენში ცო- თ მაინც მნიშვნელოვან რაოდე- თ, კაპიტალისტები ელოდებიან— ის დათანხმდება საბჭოთა მთავ- ა, საშუალებათა საჭიროების ზე- ენით, აღიაროს მეფის ვალები გააუქმოს საგარეო ვაჭრობის ოპოლია. ამ მოსაზრებებით ჩვენ გვაძლევენ თავისუფალ თანხას. ამა ფინანსიური ბლოკადის აზრი. ამავე დროს საბჭოთა კავშირის ურნეობა ღონიერდება და იზრდე- სახალხო მეურნეობის შემდეგი ფიკაციისათვის საჭიროა თან- ი. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ხოეთი ფულებს არ იძ- . ამიტომ ერთად-ერთი გა- სავალია შინაურ საშუალებათა მყრა სესხის სახით. სრულიად ავშირო საბჭოთა მესამე ყრილო- საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარის მოხსენების გამო ებულ რეზოლიუციაში, სწორედ აყენებს კითხვას და აღნიშნავს, მ კაპიტალისტურ ქვეყნების ი გამოცხადებულ ფინანსიურ კადის პირობებში შინაურ სა- ლმწიფოებრივ სესხს ეძლევა გან- უთრებული მნიშვნელობა“.

ეს მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ძრავალ მილიონ მოქალაქეთა წვრილ-წვრილი თავისუფალი თანხა, რომელიც ქისებში და ზანდუკებში ინახება სრულიად უქმად, იქნება თავმოყრილი და მოქცეული სახელმწიფო კრედიტის კალაპოტში და ამ გზით გამოყენებული სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად. ამიტომ გასაგებია, რომ „რაც უფრო მეტად არიან გაბოროტებული ჩვენი საზღვარგარეთელი მტრები, რაც უფრო აქტიურად სცდილობენ ისინი ჩაშალონ საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის საკრედიტო დამოკიდებულების საქმე, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა შინაურ სახელმწიფოებრივ სესხებს სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში“ (ამხ. სოკოლნიკოვი).

შინაურ სახელმწიფოებრივ სესხის განვითარებას სხვა მხრივაც აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იგი მეტ წონას აძლევს საბჭოთა კავშირს საერთაშორისო ბაზარზე და ამით გვიახლოვებს იმ მომენტს, როდესაც საბჭოთა კავშირს მიეცემა საზღვარ-გარეთელი სესხები მისთვის მისაღებ პირობებში.

ამგვარად შინაურ სახელმწიფოებრივ სესხების ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის განსამტკიცებლათ და განსაკუთრებულ ღონისძიებათა საერთო სისტემაში, გაიზარდა იმ ზომამდე, როდესაც საჭიროა ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალების ამოძრავება და მთელი ყურადღების და ენერგიის მიპყრობა ამ სახალხო სამეურნეო ფრონტისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ფინანსიური ბლოკადა საპნის ბუშტივით გაქრება, მაგრამ ჩვენ ინტერესს შეადგენს, რათა ეს მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა, ამიტომ ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: „ფინანსიურ ბლოკადის წინააღმდეგ—ფინანსიური თავდაცვა“. ეს უკანასკნელი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მდგომარეობს იმაში, რათა შინაურ სახელმწიფოებრივ სესხის საშუალებით თავი მოუყაროთ არსებულ საშუალებებს და მოვახმაროთ იგი ჩვენი მეურნეობის შემდგომ აღმშენებლობას.

ამეგრელო და აშორდისტები

იანოვსკი-ვოსტორგოვის აგენტს— შორდიას პირადათ ვიცნობდი და ახსოვს, რომ ვისაც კი შეგნებული ონდა, თუ რა პოლიტიკას ატარებ- იანოვსკი-ვოსტორგოვი და სა- ოდ რუსეთის იმპერიალიზმი სა- ართველოში, ზიზღით უყურებდა ყიდულ აგენტს—აშორდიას.

დღეს აღმოჩნდენ ახალი აშორდი- ი, ბუკონია-ბესელიები და ზუგ- დში კარგათ ცნობილი, როგორც იად ახირებული და საზოგადოებ- ივი თვალსაზრისით ყოვლად უმნი- ნელო, მიშა დადიანი. ყველა ეს ბატონები, შეგნებულად თუ შეუ- ნებლად ღალატობენ საქართველოს რომელთ და ცდილობენ კულტუ- ულად და ეკონომიურად დააქვეი- ონ სამეგრელო.

უძლიერესი იარაღი, რომლითაც აგებლობს მეგრელი, გურული, ერელი, ქართლელი, კახელი, არის რთული ენა, და სამეგრელოში ლხი იმდენად არის შეგნებული, იმდენადაც მას ეს შეგნება მისცა რთულმა ენამ.

საქართველოს გონებრივი კულტურა, რომელიც გამოიხატება ქართულ ლიტერატურაში, შეადგენს სამეგრელოს კულტურასაც.

საქართველოს ყველა ნაწილების ულტურის გზა—ერთია. საქართველო ისტორიულად და კულტურულად ლიანი ორგანიზმია და ამ მთლიანობის დარღვევა ნიშნავს მთელი ის და მისი ნაწილების ეკონომიურად და კულტურულად დაშლას და ოლიტიკურად მოსპობას.

ბუკონია-ბესელია და საერთოდ ლიდა რვათა ძმათა ჩხოუშელთა“ ვეკორის სიტყვებია) ჯგუფი ბლით თუ უნებლიეთ ობიექტიურად სცდილობენ საქართველო და ათან სამეგრელოც დაღუპონ. მათ ოქმედებას ნიკოლოზის იმპერიალისტურ პოლიტიკის სუნი უდის, და ბატონები აშორდიის პოლიტიკურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ.

მაგრამ ვინ გაბედავდა დღეს საქართველოს მთლიანობის დაშლის, ის კულტურულად და პოლიტიკურად დაქვეითების საკითხის ისე ყენებას, როგორც მას აყენებ „ჩხოუშელები“! „ჩხოუშელების“ ყვებიდან გამოდის, რომ რუსე- ს დემოკრატ მეფეს გაუთავისუფლებია სამეგრელოს (მაშასადამე, სრულიად საქართველოსიც) გლეხობა სამეგრელოს „მეფე ავტოკრატისაგან“, და დღევანდელი ხელისუფლებამ რუსეთის დემოკრატ მეფის მაგიერ სამეგრელო დაუმორჩილა „საქართველოს ისტორიულად და იურიდიულად უსაფუძვლო სუვერენიტეტს“.

ასეთი ისტორიული და იურიდიული სისულელის (მაპატიეთ ასეთი სიტყვის ხმარება, მაგრამ ეს სიტყვა უსათუოდ აქ შეეფერება) წამოროშვა „ჩხოუშელებს“ (რომლებიც თავის თავს სოციალისტებს, ყოველ შემთხვევაში დემოკრატებს მაინც უწოდებენ), უსათუოდ და მხოლოდ სისულელით და უღრმესი უვიცობით მოუვიდათ, თუ მათი ნაბიჯი მათი მორალური დაცემის შედეგი არაა.

მაგრამ აშორდიამ თავისი სამარცხვინო საქმე ჩაიდინა შეგნებულად, როგორც იანოვსკის აგენტმა. ბუკონიები, არ ვიცი რატომ სახავენ რუსეთის მეფეს სამეგრელოს გლეხობის მეგობარ დემოკრატად! რატომ სურთ მათ სამეგრელოს კულტურულად უკან დახევა.

ხომ არ ფიქრობენ, რომ დაქვეითებულ, დაბეჩავებულ სამეგრელოში ბურთი და მოედანი ბუკონიებს დარჩება! არა, მათ ჯილდოთ რჩებათ მხოლოდ ზიზღი.

არის ერთი საკითხი. სამეგრელოში მოიპოვება დიდი საისტორიო განძი, რომელიც აინტერესებს საქართველოს წარსულის მკვლევარს. ამ განძის შესწავლა, გამოქვეყნება შედის ქართველ მკვლევართა და ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებათა პროგრამაში და რა აქვს ასეთ მუშაობასთან საერთო ბუკონია-ბესელია-მიშა დადიანს!?

არაფერი.

მათ რჩებათ მხოლოდ აშორდიის მემკვიდრის როლი. აშორდია იყო აშკარა აგენტი თვითმპყრობელ იმპერიალისტურ რუსეთის. ბუკონიები დღეს სიყვარულით იხსენიებენ რუსეთის „დემოკრატ“ მეფეს და სთხოვენ მოსკოვს მეფის მოსპობილი გზა აღადგინოს.

დააგვიანდათ. ისტორიის ბორბალი ტრიალებს, უკან არ ბრუნდება და ბუკონიები, რომელიც ამ ბორბალს წინ ეღობებიან, რასაკვირველია, გაისრისებიან.

დ. თოფურიძე.

„სამეგრელოს ავტონომისტების შესახებ“

ამ სათაურით ვკითხულობთ ამხ. ლ. ბერიას წერილს გაზეთ „კომუნისტი“-ს მე-210 №-ში. იმ „დოკუმენტებს“ და მათ შემთხზველ პირებს, რომლებსაც იხსენიებს თავის წერილში ამხ. ლ. ბერია, მე გავეცანი 27 აგვისტოს აქ, თბილისში, იმ სხდომაზე, რომელსაც თვითონ ამხ. ლ. ბერიაც დაესწრო; მანამდე არც ამ ვაჟბატონებს ვიცნობდი, და არც მათ მიერ შეთითხნილ, მართლა სამარცხვინო, ჩვენი დროისთვის პროვოკაციულ — კონტრ-რევოლიუციონურ დოკუმენტებს.

ამხ. ლ. ბერიას არავინ ედავება, მით უმეტეს არ ვედავები პირადათ მე, ამ ჯგუფისა და ხსენებული დოკუმენტების დახასიათებაში. პირიქით უფრო სამარცხვინო ბოძზე გავაკარი მე მათი „მოღვაწეობა“ დღემდე და მომავალშიც ასე მოვიქცევი. მხოლოდ ჩემთვის გაუგებარია ის მძიმე ბრალდება, რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად მიყენებს პირადათ მე ამხ. ბერია. ის სწერს: „ამხ. ქვანია სერიოზულად არ გარკვეულა, როგორც მარქსისტი, ამ საკითხში და განიცდის დადიანის გავლენას. მისთვის, ალბათ, აშკარა არ არის, თუ როგორ უღირს როლს ასრულებს ის, პარტიის ძველი წევრი, რომელიც თამაშობს ყოფილ ძველ თავადის დადიანის დუდუკზე“-ო.

საქმეც იმაშია, ამხ. ბერია, რომ ქვანიას ამ საკითხში დადიანთან არ ჰქონია არასოდეს არაფერი საერთო და არც ექნება. ამხ. ბერიას ასეთი მძიმე ბრალდება ჩემ წინააღმდეგ აგებულია ან გაუგებრობაზე ანდა ყალბ ინფორმაციაზე. ამხ. ბერიამ და სხვებმაც უნდა იცოდენ, რომ მე არ შემეძლო მქონებოდა რამე საერთო ამ დოკუმენტების შემთხზველ ხალხთან. რაც შეეხება ჩემს აზრს ამ საკითხზე,—ის არ ყოფილა არც გაურკვეველი და არც მერყევი.

ჩემში არავითარ ეჭვს არ იწვევს და სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ ხსენებული პირების მთელი ეს ჩმახვა „სამეგრელოს ავტონომიის“ შესახებ არის მართლა უმსგავსო საბჭოთა ფარსი. ავტონომია (შეეხება ის დიდ თუ პატარა ტერიტორიალურ ერთეულს), რომელსაც მოითხოვენ ერთი მუჭა ფანტაზიორები და რომელიც არაა დამყარებული მშრომელი ხალხის სურვილებზე, მისი როგორც პოლიტიკურ-კულტურულ, ისე ეკონომიურ ინტერესებზე და მას ხელს არ უწყობს ქვეყნის ობიექტიური პირობები—ასეთი ავტონომია არის ავანტიურა, ხოლო მისი ინიციატორები—წმინდა წყლის ავანტიურისტები.

რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლება ასეთ ზომებს მხარს ვერ დაუჭერს, ასეთ ნაბიჯებს ვერ გადასდგამს.

მშრომელი სამეგრელოს ინტერესები არ მოითხოვენ ავტონომიას და მის კომისრების შესახებ ზედმეტ ხარჯებს. მისი ინტერესი მოითხოვს, რომ ოფლით მონაპოვარი საბჭოთა კაპეიკი მის პირველ მოთხოვნილების საჭიროებას მოხმარდეს. ზუგდიდის მაზრაში უგზოობის გამო კამეჩის პრიმიტიული ურმებით თუ გაივლი და ისიც კარგ დარში. გზა, ხიდი, სკოლა, საავადმყოფო, სამკითხველო, თეატრი—აი რისი მოწყობა შეადგენს ჩვენს გადაუდებელ ამოცანას. აი სწორედ ამ მტკივანი საკითხების გადაჭრა შეადგენს ჩვენი საზოგადოების ყველა ცოცხალი ელემენტების საზრუნავ საქმეს, აქ არის საჭირო მათი დახმარება და არა ლაყბობა რაღაც საქართველოს „იმპერიალიზმზე“.

აღმშენებლობითი მუშაობის მხრით ზუგდიდის მაზრა ძალიან ჩამორჩენილია. როგორ მოუაროთ თავი ამ ჩამორჩენილობას, როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან—ამაზე კრინტი არასოდეს დაუძრავთ სამეგრელოს „კეთილდღეობისათვის“ „თავდადებულ“ ვაჟბატონებს. ყველას ჩვენ, ვისაც გვინდება პრაქტიკული მუშაობა და არა ლაყბობა ზუგდიდის მაზრაში, მხოლოდ და მხოლოდ ეს საკითხები გვაინტერესებს. ვ ფიქრებთ, თუ რა დახმარება მივსცეთ მშრომელ მეურნე გლეხს, და მუდამ იმის ცდაში ვართ, როგორმე მოვაგვაროთ ცენტრის დახმარებით ეს რთული საკითხები. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს ის პრაქტიკული ღონისძიებანი რომელნიც წამოყენებული გვაქვს ამ ცენტრის დასტურისა და მისგან დახმარების მისაღებათ.

ამით მე ის მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ გვაინტერესებს ის, რაშიაც საჭიროებს მშრომელი გლეხობა და არა „ავტონომია“, როგორც ყოვლად მიუღებელი ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით.

ი. ქვანია.

მუშათა კრედიტის საკითხი

(წერილი მოსკოვიდან)

ზამთარი ახლოვდება. მუშა სათანადოთ უნდა მომარაგდეს. მან თბილად უნდა შემოსოს ცოლშვილი, შეიძინოს საკმაო სათბობი მასალა და სხვა. მაგრამ, თუ მუშამ უყურა ჯამაგირს, ამით მომარაგებას ვერ შესძლებს. ამიტომაა, რომ ყოველ შემოდგომაზე, ზამთრის პირას, განსაკუთრებით ისმის საკითხი მუშათა კრედიტის შესახებ.

ამ საკითხს დიდი ყურადღებით იხილავდენ მოსკოვის ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები. ამის შესახებ კერძოდ გაიმართა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო კოოპერაციის, ცენტრალურ მუშათა სექციის და შინავაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლებმა. პრინციპიალურად კრედიტის გახსნის წინააღმდეგი არავინ იყო, საკითხი უმთავრესად დაისვა პრაქტიკული ზომების გამომუშავების ნიადაგზე.

წარსულში, როგორც ეს აღინიშნა სხდომაზეც, მუშათა კრედიტის გატარება რამდენიმედ მახინჯ სახეს ღებულობდა, როგორც, მაგალითად: კრედიტის მოკლევადიანობა, რაც აძნელებდა აღებული კრედიტის გადახდას; სამეურნეო ორგანოების კონტროლი და პასუხისმგებლობა, ვალდებულების გაცემა მუშების სახელით და აქედან გამოწვეული მისწრაფება სამეურნეო ორგანიზაციების—რაც შეიძლება მალე გაინაღდოს მუშებიდან კრედიტი და განთავისუფლდენ გაცემულ ვალდებულებისაგან, არგაწევა ანგარიშისა იმისთვის აიტანდა თუ არა ამას მუშა; კოლექტიური სახე კრედიტის, რაც მუშას უძნელებდა აეღო ის, რაც მისთვის უფრო საჭირო იყო; სავალდებულო ფორმა კრედიტისა საქონლით.

ამათ შორის მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საქონლის სავალდებულოდ აღება. ამა თუ იმ ქარხნის თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს ჩვეულებრივ მიამაგრებდენ ამა თუ იმ კოოპერატივზე და მუშას უნდა მიეღო ის, რაც მოიპოვებოდა ამ კოოპერატივში. ამის გამო მუშა ხშირად ან სრულებით ვერ სარგებლობდა კრედიტით, ან თუ ისარგებლებდა, ისეთ საქონელს ღებულობდა, რომელიც სრულებით არ აკმაყოფილებდა მას. ეს იქნა აღნიშნული სხდომაზე ყველას მიერ.

როგორი ფორმით იქნება ჩატარებული კრედიტი 1925—1926 წელს? კრედიტი მუშებს ეხსნება ექვსი თვის ვადით; სავალდებულო სახე კრედიტის კატეგორიულად უარყოფილია, თვითეულ მუშას უნდა მიეცეს საშუალება კრედიტით ისარგებლოს ისე, როგორც მას სურს; თუ საჭირო არის მუშისთვის, შეუძლია ისარგებლოს ფულადი კრედიტით, თუ საჭირო იქნება—საქონლით. ყველა ამაში დაცულია სრული ნებაყოფლობა.

სამეურნეო ორგანიზაციები და დაწესებულებები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან და ვალდებულების გაცემისაგან. კოოპერაცია უხსნის კრედიტს მუშებს, სათანადო საქარხნო კომიტეტებსა და დაწესებულების ადგილკომებთან შეთანხმებით. კოლექტიური კრედიტის გახსნა აქედანვე უარყოფილია, კრედიტი იქნება ინდივიდუალური, და პასუხისმგებელია ის, ვინც ღებულობს მას.

ცხადია, კრედიტის გახსნის დროს კოოპერაციამ უნდა მიიღოს მხედველობაში იმ პირის გადახდის უნარიანობა, რომელსაც კრედიტი ეძლევა. მაგრამ ეს საბაბად არ უნდა გახდეს მუშისათვის აუცილებელ კრედიტის უარის სათქმელად. წარმოება-დაწესებულებებს ევალებათ შეისწავლონ მუშების მდგომარეობა და მისცენ მათ რაც შესაძლებელი და მოსახერხებელია.

კრედიტის გახსნის დროს კოოპერაციის წინაშე სდგას ამოცანა— იქონიოს ის საქონელი, რაც ესაჭიროება მუშას, რომ ჩვენი სალაროებიდან გამოსული თანხა კერძო კაპიტალს არ ჩაუვარდეს.

საჭიროა კოოპერაციამ აქედანვე შეისწავლოს მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი და ამის მიხედვით შეუდგეს საქონლის მომარაგებას.

მიხე ცინცაძე.

8 სექტ. 1925 წ.

რადიო-დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ცნობები)

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ

სკარბორო, 13 სექტემბერი. ყრილობაზე გაცხარებული კამათი გამოიწვია პერსელის მიერ წარმოდგენილმა რეზოლიუციამ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ყრილობა სასტიკ პროტესტს აცხადებს იმპერიალიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ და ადგენს: მხარი დაუჭიროს მუშათა მოძრაობას ინგლისის იმპერიის ყველა ნაწილებში, შედგენილ იქნეს მუშათა პროფკავშირები და პოლიტიკური პარტიები; მხარი დაუჭიროს ინგლისის ყველა ხალხების უფლებას თვითგამორკვევაზე, თვით იმპერიისაგან სავსებით გამოყოფამდე.

პერსელის რეზოლიუციის წინააღმდეგ გამოვიდა ტომასი, რომელმაც განაცხადა, რომ პერსელმა არ იცოდა რაზე ლაპარაკობდა.

ტომასის საპასუხოდ გამოვიდა პოლიტი, რომელმაც მოაგონა ტომასს, რომ ინგლისის იმპერია არ არის საიმპერიო გამოფენა. „ინგლისის იმპერიალიზმი“, — სთქვა პოლიტმა,—ინდოეთის პავილიონი კი არ არის ვემბლის გამოფენაზე. ინგლისის იმპერიალიზმი—ეს არის გაფიცულ მუშების ამოჟლეტა ინდოეთში და ეგვიპტეში, ეს მრავალი ათასი მილი, მორწყული იმ ინგლისელ ჯარისკაცების სისხლით, რომელთაც გზავნიან ეგრეთ წოდებულ ჩამორჩენილ რასების ქვეყნებში, და ადგილობრივ ჯარისკაცების სისხლით, რომელნიც იცავენ თავის სამშობლოს“.

პერსელის რეზოლიუცია მიღებულ იქნა 3,082,000 ხმით წინააღმდეგ 79,000-სა, მაშასადამე, რეზოლიუციას მხარი დაუჭირა ყრილობის უდიდესმა უმრავლესობამ.

კონსერვატიული მინისტრი ტრედ-იუნიონების კონგრესის შესახებ

ლონდონი, 13 სექტ. ორკშირში წარმოთქმულ სიტყვაში ვაჭრობის მინისტრმა კენლიფ ლისტერმა განაცხადა: „ეჭვს გარეშეა, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ხელმძღვანელობა პროფკავშირთა ყრილობაზე, მტკიცეთ გადაწყვიტეს პროფკავში[illegible] ინდუსტრიალური ორგანიზაციიდან გადააქციონ კომუნისტურ ორგანიზაციად, ტრედ-იუნიონებს თავისუფლება მიენიჭათ იმისათვის, რომ შეასრულონ ინდუსტრიალური ფუნქციები, და არა ძირი გამოუთხარონ ინგლისის კონსტიტუციას და დაწე[illegible]“.

ინგლისური პრესა ტრედ-იუნიონების ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ

ლონდონი, 12 სექტ. გაზეთების უმრავლესობა ყრილობაზე [illegible] და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე მიღებულ დადგენილებას მემარცხენე ფრთის გამარჯვებათ სთვლის. ამასთანავე ზოგიერთი გაზეთები აცხადებენ, რომ ეს რეზოლიუციები წარმოადგენს კაპიტულაციას კომუნისტების წინაშე.

„წითელი შეთქმულება“

ლონდონი, 12 სექტ. „დეილი ტელეგრაფი“ სათაურით „წითელი შეთქმულება“ ათავსებს ადგილს ზინოვიევის წერილიდან კომინტერნის მსოფლიო წარმატების შესახებ.

შეთანხმება ბალტიის სახელმწიფოებს შორის

რიგა, 13 სექტემბერი. ლატვიის დეპეშათა სააგენტო ჟენევიდან იუწყება, რომ პოლონეთის და ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრებსა და ლატვიის წარმომადგენელს შუმანსკის შორის მიღწეულია სრული შეთანხმება განიარაღების და საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. თათბირის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ მათი მთავრობები წინანდებურათ იცავენ ჟენევის ოქმს 1924 წ. 22 ოქტომბრის თარიღით.

მიღებული იქნა ლატვიის მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ გარეშე საქმეთა მინისტრების შემდეგი თათბირი გაიმართოს რიგაში. კონფერენციის ვადას და პროგრამას გამოიმუშავებს ლატვიის მთავრობა.

პრესა

„სამეურნეო დემოკრატია“

ამ ლოზუნგს დიდი ადგილი ეკავა გერმანიის პროფკავშირთა უკანასკნელ ყრილობაზე. შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობა ეკონომიურ დარგში,—აი მისი შინაარსი. კაპიტალისტების სამეურნეო დიქტატურის წინააღმდეგ სოც.-დემოკრატები აყენებენ არა რევოლიუციონურ ლოზუნგს—წარმოების იარაღების ხელში ჩაგდებას მშრომელთა მიერ, არამედ ამბობენ: კაპიტალისტებმა კვლავ განაგრძონ სახალხო მეურნეობის მესვეურობა, მხოლოდ მათი ძალა-უფლება უნდა იქნეს განსაზღვრული სახელმწიფო დემოკრატიის ხელმძღვანელობით და მუშათა წარმომადგენლობით.

ამ ლოზუნგის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა კომუნისტმა დელეგატმა ამხ. გალმმა სხვათა შორის, მან მოიყვანა სახ. მეურნეობის ყოფ. საიმპერიო მინისტრის, შმიდტის კერძო განცხადება,—რომ ის „სამეურნეო თვალსაზრისით მომხრეა საბჭოთა სისტემის“. ამან ერთი სენსაცია გამოიწვია ყრილობაზე. შმიდტისაგან ასეთ „მკრეხელობას“ არავინ მოელოდა, და დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი გალმის გამოსვლებს გააბათილებს. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. შმიდტმა დაადასტურა, რომ მას არ სწამს „სამეურნეო დემოკრატიის“ განხორციელება, რადგან გერმანიაში სახალხო მეურნეობის საკითხებში სუფევს მრეწველობის დიქტატურაო. ამასთან დასძინა, რომ ამ დიქტატურაზე იგი „უპირატესობას მიანიჭებდა მუშათა კლასის სარეწველო დიქტატურას“.

მაგრამ შმიდტი ამბობს: „მუშათა კლასის სამრეწველო დიქტატურის დაწესება შეუძლებელია სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების დაპყრობის გარეშე“, ხოლო ეს დაპყრობა მას სახიფათოდ მიაჩნია დღევანდელი სახელმწიფოებრივი მეურნეობის დაშლის დროს.

ამის გამო გაზ. „ტრუდ“ი სწერს: „ჩვენ არ დავიწყებთ პატივცემულ გერმანულ მინისტრთან თეორიულ დავას ძალა-უფლების პოლიტიკური დაპყრობის როლის შესახებ დანგრეული კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში. ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ ჩვენს მაგალითზე. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ უფრო მძიმე მემკვიდრეობა, ვინემ ის, რაც მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში. მიუხედავად ამისა აღმშენებლობის ოთხი წელი (1921 წლამდე საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო არა მეურნეობა ეშენებია, არამედ ეწარმოებია შეიარაღებული ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის წინააღმდეგ) საკმარისი აღმოჩნდა, რომ წინანდელ დონემდე აღგვედგინა ქვეყნის საწარმოო ძალები. ხოლო უბედურება, რომლის გადატანა მოუხდათ ამისათვის საბჭოთა რესპუბლიკების მუშებს, პირველი, გამოწვეული იყო სამოქალაქო ომის პირობებით, მეორე, ბევრად არ აღემატებოდა იმ უბედურებას, რომელიც განიცადა გერმანიის პროლეტარიატმა 1921—23 წლებში“.

მაგრამ შმიდტის სიტყვებში მნიშვნელობა აქვს არა მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების „ხიფათს“ დანგრეული სახელმწიფო მეურნეობის დროს. ყოფ. საიმპერიო მინისტრს ჩვენ ვერ მოვთხოვთ, რომ ის გამოვიდეს კომუნისტების თანამოაზრედ. არა მარტო მისთვის, არამედ სოც.-დემოკრატებისათვის მთავარ „საბუთს“ მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის წინააღმდეგ წარმოადგენს ლაყბობა იმაზე, რომ პროლეტარიატი თითქო მოუმზადებელი იყოს სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის, მითითება მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე და სხ. ამით სურთ გაამართლონ „სამეურნეო დემოკრატიის“ ლოზუნგი. საგულისხმო აქ ის არის, რომ თვით შმიდტს უაზრობად მიაჩნია „სამეურნეო დემოკრატიაზე“ ლაპარაკი კაპიტალისტების სამრეწველო დიქტატურის არსებობის პირობებში. ეს „ახალი“ ლოზუნგი სოციალ-გამყიდველების ახალი ცდაა—თვალი აუხვიონ მუშათა კლასს და ის რევოლიუციონური ბრძოლის გზას ცოტა ხნით მაინც ააცდინონ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე

მოსკოვი, 13 სექ. 11 სექტემბერს საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სხდომას დაესწრო ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო დელეგაცია.

კალინინმა შესწყვიტა სხდომა და მიესალმა ინგლისელ სტუმრებს შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ მივესალმებით მუშათა დელეგაციის სურვილს გაეცნოს საბჭოთა მუშაობას და გულწრფელად ვუსურვებთ, რათა მან სავსებით და ზედმიწევნით გაიცნოს ს მუშაობა და გაიმსჯელოს მისი შინაარსით, რომ მთელი ჩვენი მუშაობის ობიექტიურად შეფასებით გამოიტანოს თავისი ავტორიტეტული აზრი საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედების და მიღწევების შესახებ და აცნობოს ყოველივე ეს დასავლეთ ევროპის მუშებს“.

დელეგაციის თავმჯდომარემ უოლხედმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა ცაკს გულითადი მიღებისა და მისალმებისათვის.

„ჩვენში—სთქვა უოლხედმა“—ძალიან ძველი საპარლამენტო სისტემაა, თქვენში რუსეთში,—იგი ახალია. თქვენ მოახერხეთ ყველა ერების შეკავშირება დემოკრატიული ფორმის ძლიერ ორგანიზაციაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის მუშებმა უნდა წაბაძონ თქვენს მაგალითს.

ჩვენი სურვილია—დახმარება გაუწიოთ საბჭოთა კავშირის აღდგენას. ამ მიზნით ჩვენ ვცდილობთ ვაიძულოთ ჩვენი მთავრობა, რომ მან საბჭოთა კავშირზედაც გაავრცელოს სავაჭრო შეღავათები, რომლითაც სხვა ქვეყნები სარგებლობენ“.

უოლხედი ხაზს უსვამს მუშათა კლასის სიმპატიებს საბჭოთა კავშირის მიმართ. როდესაც ინგლისის მუშათა მთავრობამ საბჭოთა კავშირთან დასდო სავაჭრო ხელშეკრულება, ჩვენ მივიღეთ ერთ მილიონზე მეტი ხმა, ვიდრე წინა არჩევნებში. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ვიმარჯვებთ იქ, სადაც ვიბრძვით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დამყარებისათვის.

„ინგლისის მუშათა მთავრობა—ამბობს უოლხედი—დამარცხდა კონსერვატიული პარტიის მიერ გაკეთებულ ტრიუკის წყალობით. ასეთი ტრიუკი, „ზინოვიევის წერილის“ სახით, რასაკვირველია, უკანასკნელი არ არის. ასეთი ტრიუკები კიდევ ბევრი იქნება. მას ბოლო მოეღება მხოლოდ ინგლისის სოციალისტურ მთავრობის შედგენის შემდეგ. ჩვენ განზრახული გვაქვს ვიბრძოლოთ რეაქციონურ კონსერვატიულ მთავრობის წინააღმდეგ და ვაიძულოთ იგი საბჭოთა კავშირზე გაავრცელოს ყველა სავაჭრო შეღავათები. აქ ჩვენ ვმოქმედობთ მტკიცე რწმენით, რომ რუსეთმა სწორი გზა აირჩია, რომ იგი მიდის მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ“.

უპასუხებს რა უოლხედს, კალინინი ხაზს უსვამს ინგლისის და რუსეთის მუშათა კლასის დაახლოვების უდიდეს მნიშვნელობას. ჩვენი გულწრფელი სურვილია—აცხადებს კალინინი, რომ ინგლისის მუშათა კლასმა მთელი თავისი ძალა მოახმაროს კაპიტალიზმთან ბრძოლას, რამდენადაც კაპიტალიზმი ებრძვის საბჭოთა რესპუბლიკას. მარტო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ძალა საკმარისი არ არის კავშირის დასაცავათ. საჭიროა მთელი ქვეყნის მუშათა კლასის და მისი მთავარი სექტორის—ინგლისის მუშათა კლასის ძალთა გაერთიანება. ეს მტკიცედ აქვთ შეგნებული კომუნისტურ პარტიის მუშაკებს, მუშათა კლასს და საბჭოთა კავშირის გლეხობას. როდესაც თქვენ იმოგზაურებთ ჩვენს კავშირში, თქვენ ინსტინქტიურად შეამჩნევთ ასეთ განწყობილებას. საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს იმედი აქვთ, რომ ინგლისის მუშათა პარტია ყოველივე ძალ-ღონეს იხმარს საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ჩემი სურვილია, რომ ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო დელეგაციამ, ინგლისში დაბრუნების შემდეგ, ყველა აქ შეკრებილი ცნობები გამოიყენოს მუშათა კავშირის ინტერესებისათვის საბრძოლველად.

მუშათა კლასის მომავლისათვის მთავარი პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ამ ორ სექტორს—საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა კლასს. საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა კლასის შეცდომები გავლენას მოახდენს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასზე. ინგლისის მუშათა კლასს აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმიტომ, რომ ყველაზე ძლიერი ბურჟუაზია მუშათა კლასის ყველაზე ძლიერი მტერი—ინგლისის ბურჟუაზიაა.

რომელ პროლეტარიატს შეუძლია მსოფლიოში ასეთი ძლიერი მტრის შებოჭვა, თუ არა ინგლისის პროლეტარიატს; რომელ მოწინააღმდეგეს შეუძლია შეაფასოს ინგლისის ბურჟუაზიის მოქმედება, თუ არა ინგლისის მუშათა კლასს.

ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია გაეცნობა ჩვენს სახელმწიფოებრივ ორგანოებს და დარწმუნდება, რომ ამ სახელმწიფოებრივ ორგანოების ფორმა ცალკე პირების გამოგონება კი არ არის, არამედ იგი გამომუშავდა ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში.

საბჭოთა სისტემაზე უნდა ითქვას, რომ ეს არის ისეთი სისტემა, რომელიც მუშავდებოდა 8 წლის განმავლობაში მეტად რთულ პირობებში. თქმა, იმისა რომ ჩვენი აპარატი ძალიან მარტივია, რომ იგი უფრო მარტივია, ვიდრე ინგლისის პარლამენტი, არ არის სწორი. ჩვენი ორგანოები ძალიან რთულია. ჩვენმა პროექტებმა უფრო მეტი იერარქიული საფეხურები უნდა გაიარონ. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების ერთბაშად შესწავლა ძალიან ძნელია. ეს ფორმები შეიქმნენ მრავალ რთულ პირობების ზეგავლენით და სავსებით უპასუხებენ მრავალ-მილიონიან მუშათა და გლეხთა მასების ინტერესებს. ამიტომ ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ რომ ჩვენ შევქმენით და ვქმნით ისეთ ფორმებს, რომლებიც სამსახურს გაუწევენ მასების ინტერესებს, ეს ფორმები ხელს უწყობენ მასების თვითმოქმედების გაავითარებას. ეს კიდევ ცოტაა, ჩვენ ვცდილობთ რათა ჩვენმა ფორმამ საშუალება მისცეს ყოველ ადამიანს შეიქცეს სახელმწიფოებრიობის ცნებაში, გაიზარდოს და განვითარდეს.

ჩემი სურვილია, რათა თქვენ მხურვალე სალამი გადასცეთ ინგლისის მუშათა კლასს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და ყველა საბჭოთა მუშაკების სახელით.

ბოლოს კალინინმა გადასცა სტუმრებს საკავშირო რესპუბლიკის მიპატიჟება.

დელეგაციის თავმჯდომარე უოლხედი მადლობას უცხადებს ყველას მიპატიჟებისათვის, მაგრამ უარს ამბობს ისარგებლოს მით. „მუშათა დელეგაცია—ამბობს უოლხედი,— არ შეუძლია დიდხანს დარჩეს საბჭოთა კავშირში, იგი შეკრებილი ცნობებით საჩქაროთ უნდა გაემგზავროს ინგლისში, რათა პარლამენტის ნოემბრის სესიის გახსნამდე გამოაქვეყნოს თავისი ანგარიში მოგზაურობის შესახებ.

დელეგაციის წევრმა მარდიმ ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა საბჭოთა კავშირს ასეთი მეგობრული მიღებისათვის. „ჩვენ ვამტკიცებთ— ამბობს მარდი,—რომ ინგლისის მუშათა კლასი არავის ნებას არ მისცემს დაამხოს საბჭოთა რეჟიმი და აღადგინოს მეფის წესწყობილება. ჩვენ აქ ვაცხადებთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა თქვენ შესძლოთ სოციალისტური წყობილების დამყარება საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში (ტაში).

მისალმებების შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა კრემლის დასათვალიერებლად.

მოსკოვის დაწესებულებების დათვალიერება.

მოსკოვი, 13 სექტ. ინგლისის საპარლამენტო დელეგაციამ თავის თავმჯდომარის უოლხედის მეთაურობით ინახულა ცენტროკავშირი.

11 სექტემბერს დელეგაციამ ინახულა შაქრის ტრესტის გამგეობა და სახელმწიფო საგეგმო კომისია.

საღამოს დელეგაცია გაემგზავრა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატები მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის წინააღმდეგ

ვენა, 12 სექტ. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგი“ ენერგიულ კამპანიას ეწევა საბჭოთა კავშირში გამგზავრებულ ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის წინააღმდეგ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ კომუნისტებს „სურთ განამტკიცონ თავისი პრესტიჟი ე. წ. საზღვარ-გარეთელ დელეგაციების დახმარებით“, მაგრამ ეს „მატყუარობაა“, ვინაიდან დელეგაციებს ირჩევენ მუშათა ორგანიზაციების (იგულისხმება სოციალ-დემოკრატები) ყოველგვარ მონაწილეობის გარეშე. „ჩვენ ვეცდებით—აცხადებს გაზეთი—ზედმეტი კოზირი არ მივსცეთ კომუნისტურ პროპაგანდისტებს, რომლებიც შესძლებენ მაშინ მტკიცებას, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს მათი წინადადება საბჭოთა კავშირში გამგზავრების შესახებ“. გაზეთს შემდეგ მოჰყავს ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულ კავშირის რწმუნებულთა კონფერენციის რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მუშათა დელეგაციაში მონაწილენი „პარტიის რიგებიდან გასულებათ ითვლებიან“.

კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ სწერს, რომ, მიუხედავათ კონფერენციის დადგენილებისა, საბჭოთა კავშირში გამგზავრების იდეას თანაგრძნობით ხვდებიან სოციალ-დემოკრატიული მუშათა მასები.

აბრამოვიჩი საბჭოთა კავშირის და ინტერნაციონალის შესახებ

ბერლინი, 18 სექტემბერი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მომავალ ყრილობის გამო, რომლის მოწვევა განზრახულია ჰეიდელბერგში, „ფორვერტსი“ ათავსებს აბრამოვიჩის მოწინავე წერილს საბჭოთა კავშირის და ინტერნაციონალის შესახებ შემდეგი სათაურით: „მუშათა კლასის ვალდებულებანი“.

წერილში აღნიშნულია, რომ სოციალისტური ინტერნაციონალის ლოზუნგს წარმოადგენს დემოკრატიის, როგორც საყოველთაო მშვიდობიანობის აუცილებელი გარანტიის, დამყარება საბჭოთა კავშირში.

„რუსეთის მუშების ბრძოლა საბჭოთა დიქტატურის წინააღმდეგ,—განაგრძობს აბრამოვიჩი,—არ წარმოადგენს წმინდა რუსულ საქმეს, არამედ იგი არის საერთაშორისო პრობლემა. მე-2 ინტერნაციონალის მარსელის კონგრესი იხილავს ამ პრობლემას მხოლოდ სამხედრო საშიშროების თავიდან აცილების თვალსაზრისით. მაგრამ, ამას გარდა, უნდა აღმოვაჩინოთ კავშირი რუსეთში გამეფებულ ტერორსა და ევროპის მუშათა მოძრაობაში დაწყებულ სისხლისმღვრელ ბრძოლის შორის“.

აბრამოვიჩი აყენებს მთავარ პრინციპს: დემოკრატია საბჭოთა კავშირში უნდა იყოს არა მარტო საყოველთაო მშვიდობიანობის გარანტია, არამედ მთავარი პირობა პროლეტარულ მოძრაობის გაჯანსაღებისათვის. მარსელის რეზოლიუცია „რუსეთის“ საკითხზე წარმოადგენს დიდ პროგრესს მე-2 ინტერნაციონალის შარშანდელ ჰამბურგის კონგრესთან შედარებით, რადგან იმ დროს, როდესაც ჰამბურგში ინგლისის მუშათა პარტია თავს იკავებდა კენჭის ყრისაგან საბჭოთა კავშირის საკითხში, ინგლისის დელეგაცია მარსელის კონგრესზე თვითონ გამოვიდა რეზოლიუციით, რომელიც მოითხოვს პირველ რიგში „პოლიტიკური თავისუფლების მინიჭებას რუსეთის ხალხისათვის“.

„პრობლემა ნათელია,—ამბობს აბრამოვიჩი. ბრძოლა რუსეთში გამეფებულ ტერორის წინააღმდეგ წარმოადგენს მთელი ინტერნაციონალის ამოცანას. სხვადასხვა ქვეყნების მუშათა პარტიების და სპეციალურად ინგლისის მუშათა პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრებაში გატარებული იქნეს ეს რეზოლიუცია“.

ერთა ლიგის სესიაზე

საკითხი შეიარაღების შემცირების შესახებ

პარიზი, 13 სექტ. 12 სექტემბერს, ერთა ლიგის პლენარულ სხდომაზე ჟენევაში ბელგიის წარმომადგენელმა გიმანსმა განაცხადა, რომ ერები განიარაღებას შეუდგებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც უშიშრად იგრძნობენ თავსო და დასძინა, რომ ბელგია მაინც მზადაა ხელი შეუწყოს განიარაღების კონფერენციის მოწვევას.

ესპანეთის დელეგატმა კინონეს დე-ლეონმა გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს ერთა ლიგას მოამზადოს კონფერენცია განიარაღების შემცირების საკითხის განსახილველად და საერთოთ უშიშროების უზრუნველსაყოფად.

სესიის დახურვა

პარიზი, 12 სექტ. 12 სექტემბერს საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ბრიანი გაემგზავრა ჟენევიდან პარიზში.

გამგზავრების წინ ბრიანმა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი მოკავშირეების სახელით მიიპატიჟა კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს უშიშროების გარანტიის საკითხს. კონფერენცია მოწვეული იქნება ოქტომბრის დასაწყისში; კონფერენციის მოწვევის ადგილი ჯერ არ არის გამორკვეული.

ჩემბერლენმა და ემერიმ დასტოვეს ჟენევა იმავე დღეს.

ერთა ლიგის სესია დამთავრდა.

ცანკოვის სამეფოში

300-ის პროცესი

ვენა, 12 სექტ. სექტემბრის ბოლო რიცხვებში ბულგარეთში დაიწყება 300 კაცის პროცესი; უკანასკნელებს ბრალად ედებათ გლეხთა და კომუნისტურ პარტიების საზღვარ-გარეთელ კომიტეტის წევრობა და სანაპირო კავშირის მოწყობა.

ბულგარეთი სესხს ეძებს

ვენა, 12 სექტემბერი. ბულგარეთის ფინანსთა მინისტრმა ტოდოროვმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ არა უგვიანეს მიმდინარე წლის დამლევისა, ბულგარეთი მიიღებს სესხს საზღვარგარეთ, ვინაიდან ლევის (ბულგარეთის ფული) დამოუკიდებელი სტაბილიზაციით ბულგარეთმა უზრუნველჰყო უცხოელ ფინანსისტების ნდობა. ბულგარეთს განზრახული აქვს აგრეთვე მიმართოს ერთა ლიგის ეხლანდელ სესიას თხოვნით, რათა მას მისცეს 600 მილიონი ლევის სესხი ლტოლვილებთან დაკავშირებულ ხარჯების დასაფარავათ.

რუმინეთში

ბესარაბიელ გლეხების პროცესი

ვენა, 13 სექტ. რუმინეთის სამხედრო სარდლობამ ბესარაბიაში ჩასვლა აუკრძალა ფრანგ იურისტს ტორეზს, რომელსაც უნდოდა დამკვირვლად გამოსვლა სამხრეთ-ბესარაბიელ გლეხთა პროცესზე.

„ბესარაბიის მეგობართა საზოგადოების“ პროტესტი

ვენა, 13 სექტ. „ფაკლა“ აქვეყნებს გერმანიაში არსებულ „ბესარაბიის მეგობართა საზოგადოების“ პროტესტს რუმინელ ბოიარების სისხლიან რეჟიმის წინააღმდეგ.

საარჩევნო კამპანია პორტუგალიაში

პარიზი, 12 სექტ. ლისსაბონიდან მიღებული ცნობით, ყველა პოლიტიკური პარტიები ემზადებიან პორტუგალიის პარლამენტის მომავალ არჩევნებისათვის.

ყველაზე მეტ აქტივობას იჩენენ მემარცხენე დემოკრატები. ოპორტოში სოციალისტებმა უარი სთქვეს კომუნისტებთან ერთად მუშურ-გლეხური ბლოკის სიის შედგენაზე და მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიებთან (დემოკრატები და რადიკალები) კოალიციის შექმნაზე. და მხარი დაუჭირეს მემარჯვენე დემოკრატებს.

პოლიტიკურ მოღვაწეების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლისსაბონი, სადაც მონარქისტები მიიღებენ არა ნაკლებ 10.000 ხმას. ეს გარემოება ძალიან აწუხებს მემარცხენე და მემარჯვენე რესპუბლიკანელებს.

ნაციონალისტებს და მემარჯვენე დემოკრატებს არ სურთ რაიმე საერთო იქონიონ რადიკალებთან და მემარცხენე დემოკრატებთან. თავის მხრივ უკანასკნელები აწარმოებენ ანალოგიურ კამპანიას ყველა მემარჯვენე ელემენტების და იმათ წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ რესპუბლიკანურ წესწყობილებას.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე პარიზში და ბერლინში

მოსკოვი, 13 სექტ. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა მიიღო ცნობა, რომ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე პარიზში ჩატარდა მაროკოს ომის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლის ნიშნის ქვეშ. დემონსტრაციის დროს ჰაეროპლანებმა გადმოყარეს პროკლამაციები მაროკოს ომის წინააღმდეგ.

ბერლინში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 ახალგაზრდა მუშამ.

სამეცნიერო აკადემიის 200 წლის თავი

ზეიმი მოსკოვში

მოსკოვი, 12 სექტემბერი. 12 სექტემბერს 1 უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შესდგა საზეიმო სხდომა სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის თავის აღსანიშნავად.

მისალმებებით გამოვიდენ უნივერსიტეტის რექტორი ვიშინსკი და სახ. განათლების კომისარი ლუნაჩარსკი. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესურის სახელით მისასალმებელი სიტყვა ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ და გერმანულ ენაზე წარმოსთქვა პროფესორმა კოლცოვმა.

ბოლოს კრებამ მოისმინა მისალმება პროლეტარული ლიტერატურის ასოციაციის სახელით.

საზეიმო წარმოდგენა

მოსკოვი, 13 სექტემბერი. 12 სექტემბერს მოსკოვის სამხატვრო თეატრში გაიმართა საზეიმო წარმოდგენა სამეცნიერო აკადემიის 200 წლის იუბილეს აღსანიშნავად. წარმოდგენას დაესწრენ საზღვარ-გარეთელი და რუსი მეცნიერები.

წარმოდგენილი იქნა „მეფე თეოდორე იოანეს ძე“. წარმოდგენის დაწყებამდე, თეატრის დირექტორმა ნემიროვიჩ-დანჩენკომ მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრეებს.

თეატრის მსახიობებმა აკადემიას მიუძღვნეს „ადრესი“. წარმოდგენამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელებზე.

ს. ა. ქ. ს. ინჟ.-ტეხ. ცენტ. ბიუროს მისასალმებელი დეპეშა

მოსკოვი, კრემლი. ამხ. ენუქიძეს

საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსების ცენტრალური ბიურო გთხოვთ თქვენ, როგორც ჩვენი გაერთიანების საპატიო თავმჯდომარეს, მიულოცოთ ორასი წლის თავი სამეცნიერო აკადემიას, რომელსაც დიდი წილი უდევს საქართველოს შესწავლის საქმეში.

საქარ. ინჟ.-ტეხ. ცენტრალურ ბიუროს დავალებით ინჟ. **გ. ჩხეიძე.**

საუბარი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელთან ინგლისში

მოსკოვი, 13 სექტ. ლონდონში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად ახლად დანიშნული ხლოპიანკინი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კარგი მოსავალი და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების პროდუქციის ზრდა საშუალებას გვაძლევს 1925—26 წელს გავადიდოთ ექსპორტი თითქმის ორჯერ წინა წელთან შედარებით და ავიყვანოთ იგი 1 მილიარდ მანეთამდე.

ჩვენი მრეწველობა იმყოფება ძლიერი ზრდის პერიოდში; ეს ზრდა კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს კარგი მოსავლის გამო, ვინაიდან გლეხობა თავისი პროდუქციის გასაღების შემდეგ მეტ მოთხოვნილებას წაუყენებს სამრეწველო საქონელს.

მრეწველობის და საერთოდ სახალხო მეურნეობის შემდეგი ზრდა დამოკიდებულია ნაწილობრივ საგარეო ვაჭრობაზე, ვინაიდან სახალხო მეურნეობისათვის საჭირო საქონლის დიდი რაოდენობა შეიძლება შემოტანილი იქნას მხოლოდ საზღვარგარეთიდან—1925—26 წ. ჩვენ განზრახული გვაქვს იმპორტის გადიდება 50—60 პროც. მიმდინარე წელთან შედარებით.

მეორე სახელმწიფო მომგებიანი სესხის მეოთხე ტირაჟი თბილისში

ფინანსიური ბლოკადის ცდას უპასუხეთ ფინანსიური თავდაცვით—შინაური სახელმწიფო კრედიტის განვითარებით.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების კურსი დღითი-დღე იზრდება.

თუ თქვენ გინდათ თქვენი თავისუფალი თანხების ხელსაყრელ პირობებში დაბანდება,—იყიდეთ სახელმწიფო სესხების ობლიგაციები.

თანხების შენახვის საუკეთესო საშუალება,—ეს არის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები.

ის, ვინც მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა კავშირის სესხებში,—ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და სახალხო მეურნეობის აღდგენას.

მსოფლიო ბურჟუაზიას განზრახული აქვს შეიმუშაოს ჩვენთვის დოუესის გეგმა—საბჭოთა კავშირის დამონავების გეგმა; შინაური სახელმწიფო კრედიტის განვითარებით ჩვენ შევძლებთ ამ გეგმის ჩაშლას.

როგორ ხდება მეორე სახელმწიფო 6 პროცენტიანი მომგებიანი სესხის ტირაჟი

ტირაჟს ხელმძღვანელობს საგანგებო კომისია, რომელსაც ეწოდება „სატირაჟო კომისია“. სატირაჟო კომისიაში შედიან საბჭოთა კავშირის ფინსახკომის, ფინსახკომის რწმუნებულების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, „ცენტროსოიუზის“, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ა | კ. ბიუროს, საქონლის ბირჟის სათონდო განყოფილების, სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის და კერძო საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

გათამაშების დაწყების წინ სატირაჟო კომისია საჯაროდ ამოწმებს სატირაჟო ბილეთებს, როგორც არის ისინი დაკეცილი, ჩაწყობილი ვაზნებში და შემდეგ სატირაჟო მანქანის (ყუთის) ბორბლებში ჩალაგებული. ამის შემდეგ სატირაჟო კომისია იწყებს გათამაშებას.

სამივე სატირაჟო ბორბალი მუშაობს ელექტრონით.

პირველ ბორბალში ეწყობა 1000 ბილეთი რიცხვებით 0000-დან 0999-დე, მეორეში—1000 ბილეთი რიცხვებით 000-დან 999-დე და მესამე ბორბალში—100 ბილეთი რიცხვებით 1-დან 20-დე (ყოველი რიცხვი ხუთ-ხუთ ეგზემპლიარად).

თვითეული მოგების გათამაშების წინ ბორბალი მოძრაობაში მოდის ელექტრონის ნაკადთან შეერთების გზით, რის შემდეგ ბავშვები (ერთ-ერთ საბავშვო სახლიდან 8 წლის ჰასაკამდე) იღებენ თითო-თითო ვაზნას ბილეთით, რომელიც გადაეცემათ სატირაჟო კომისიის წევრებს. კომისიის წევრები იღებენ ვაზნებიდან ბილეთებს. ორი ბილეთისაგან შემდგარი რიცხვი წარმოადგენს მომგები ობლიგაციის ნომრებს. ამ ნომერს აქვეყნებენ კომისიის თავმჯდომარე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი და კომისიის კიდევ ერთი წევრი.

მაგალითად, პირველი ბორბლიდან ამოღებულია ბილეთი რიცხვით 0057 და მეორედან—რიცხვით 638. ეს იმას ნიშნავს, რომ მოიგო ობლიგაციამ № 0,057,638 ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, 57,638.

წვრილ მოგებათა გათამაშების დროს (50-დან 100 მანეთამდე) თვითეული ამოღებული ნომერი იგებს ოცივე სერიაში, რადგან მეორე მომგებიანი სესხი შესდგება 20 სერიად და თვითეული სერიის ობლიგაციას აქვს ნომერი 1-დან 1,000 000-დე. ამ რიგად ერთბაშად ხდება 20 მოგებათა გათამაშება.

მსხვილ მოგებათა გათამაშება, დაწყებული 500 მანეთიდან ზევით, ხდება სერიების მონაწილეობით. აქ უკვე მონაწილეობას ღებულობს მესამე ბორბალი, რომელშიაც ჩალაგებულია ბილეთები, რომლებზედაც აღნიშნულია სერიების ნომრები.

მსხვილ მოგებათა გათამაშების დროს ბილეთებს იღებენ სამივე ბორბლიდან. მაგალითად, პირველი ბორბლიდან იღებენ ბილეთს რიცხვით 0728, მეორედან—594 და მესამედან—5. ეს იმას ნიშნავს, რომ მოიგო ობლიგაციამ № 0,728,594—მე-5-ე სერიიდან.

მოგებათა გათამაშება იწყება წვრილ მოგებიდან და თანდათან მიდის მსხვილ თანხებამდე.

თუ ორივე ბორბლიდან ამოღებული იქნება ბილეთები მხოლოდ ნულებით (პირველიდან—0000 და მეორიდან—000), მაშინ იგებს ობლიგაცია № 1,000,000.

მომგებ ობლიგაციის ნომერის გამოცხადების, მისი ჟურნალებში გატარების და სპეციალურ ბარათებზე აღნიშვნის შემდეგ, ბილეთებს სდებენ ვაზნებში და აწყობენ კვლავ ბორბლებში.

ყველა მომგები ნომრები ხალხის დასანახავად აღნიშნული იქნება ელექტრომაჩვენებელზე.

ტირაჟის ასეთი ტეხნიკის დროს ყოველ ობლიგაციას აქვს მოგების თანასწორი შანსი, ერთნაირი შესაძლებლობა.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე ობლიგაცია მოიგებს ერთ ტირაჟში ორჯერ (პრაქტიკის მიხედვით, ასეთი შემთხვევა ხდება 1—2 ჯერ ტირაჟის განმავლობაში) ნამდვილად ითვლება პირველი მოგება, ხოლო მეორე ხელმეორედ იქნება გათამაშებული.

ობლიგაციას, რომელსაც მოუგია წინანდელ ტირაჟებში, აქვს მოგების უფლება ამ ტირაჟში და თვითეულ შემდეგ ტირაჟშიაც.

სატირაჟო კომისია იძლევა პასუხს ყველა კითხვებზე ტირაჟის და საზოგადოთ სახელმწიფო სესხების შესახებ.

დამსწრეებს შეუძლიათ დაათვალიერონ ტირაჟის მთელი ტეხნიკა და გაეცნონ მის პროცესს.

მოგებათა გასტუმრება ხდება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებების მიერ სამი დღის შემდეგ მოგებათა ოფიციალური ცხრილების პრესაში გამოქვეყნებიდან.

ტირაჟის დამთავრების შემდეგ გამოცემული იქნება ცალკე მოგებათა ოფიციალური ცხრილი.

სახელმწიფო სესხებს სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსთვის და სესხების ობლიგაციების მეპატრონეებისათვის.

ჩვენ მოვიგერიეთ სამხედრო ინტერვენციები, ჩვენ მოვაწყობთ ფინანსიურ თვითდახმარებას.

ჩვენი შინაური სესხების წარმატება განამტკიცებს კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის.

საბჭოთა კავშირის შინაური კრედიტის განვითარება მოწმობს საბჭოთა კავშირის სიმტკიცეს.

ტირაჟის ქრონიკა

სატირაჟო კომისიის შემადგენლობა

მეორე სახელმწიფო მომგებიან სესხის ტირაჟის ჩამტარებელ სატირაჟო კომისიის შემადგენლობა ასეთია:

კომისიის თავმჯდომარე—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა, თავმჯდომარის მოადგილე საბჭოთა კავშირის ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. ოზოლინი.

კომისიის წევრები: საბჭოთა კავშირის ფინსახკომის წარმომადგენლები **ამხ. მელევსკი,** ბურიკინი, ბუზიკოვი, ა | კ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ნ. ხაფარიანი, საქართველოში ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის მოადგილე ამხ. ი. ს. ფანცხავა, სომხეთში ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სავალიუტო განყოფილების უფროსი ამხ. ხოჯამარიანი, აზერბეიჯანში ამიერ-კავ. ფინსახკომის რწმუნებულის სავალიუტო განყოფილების უფროსი ამხ. მ. კადიმოვი, საქართველოს ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სავალიუტო განყოფილების გამგე ამხ. ზ. პ. მიქელაძე, ა. | კ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-ინსპექტორები ამხ. კონსტანტინე შავლაძე და ა. იზმაილოვი ა. | კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან ამხ. სოკოლოვი და აშმაროვი, სახელმწიფო ბანკიდან ამხ. ოსტრუბენკო და ბოგდაშევი, სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ბანკიდან ამხ. პეტროვი და ბოლქვაძე, „ზაკსოიუზი“-დან ამხ. გიულმანიანი და მირიმანოვი, ა. | კ. პროფსაბჭოსაგან ამხ. შვარცი, ტატიშვილი და გრიგოლია, თბილისის ბირჟიდან ამხ. ვ. ი. არეშიძე და ა. დ. პინიანცი. კერძო საკრედიტო დაწესებულებებისაგან ამხ. **გოგოტიშვილი.**

სატირაჟო ბილეთების შემოწმება

დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში იწყება მეორე მომგებიანი სესხის მე-4-ე ტირაჟი. დილის სხდომაზე, დილის 9 საათზე დაიწყება სატირაჟო ბილეთების საჯარო შემოწმება, მათი ჩაწყობა ვაზნებში და სატირაჟო ბორბლებში.

სატირაჟო ბილეთების შემოწმების დროს თეატრში მყოფთ საშუალება ექნებათ თავისუფლად ავიდენ სცენაზე და გაეცნონ ტირაჟის ტეხნიკას. სატირაჟო კომისიის წევრები მისცემენ საზოგადოებას განმარტებებს ყველა შეკითხვებზე ტირაჟის ტეხნიკის შესახებ. დილის სხდომა მოუნდება სატირაჟო ბილეთების შემოწმებას და მხოლოდ საღამოს დაიწყება თვით გათამაშება.

სატირაჟო კომისიის საზეიმო სხდომა

სატირაჟო კომისიის საღამოს სხდომის დაწყებამდე შესდგება საზეიმო ნაწილი სახელმწიფო სესხების კვირეულისა, რომელიც იწყება ტირაჟით. სიტყვებით გამოვლენ სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ამხ. ელიავა, თავმჯდომარის მოადგილე საბჭოთა კავშირის ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. ოზოლინი.

საღამოს 8 საათზე

სხდომის საზეიმო ნაწილის შემდეგ დაიწყება თვით ტირაჟი. საღამოს 8 საათზე ტირაჟის დამსწრეთათვის მოწყობილი იქნება დიდი კონცერტი ადგილობრივ ოპერის მსახიობთა მონაწილეობით. კონცერტი დამთავრდება ნაციონალური სიმღერებით და ცეკვით.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების გაყიდვა ტირაჟის დღეებში

ტირაჟის განმავლობაში სახელმწიფო ოპერის თეატრში სახელმწიფო ბანკი გაყიდის 1 ოქროს სესხის საგლეხო და მეორე მომგებიან სესხების ობლიგაციებს.

ტირაჟის გადაღება კინო ლენტზე

ტირაჟის დროს გადაღებული იქნება კინო ლენტზე ტირაჟის ტეხნიკა და ტირაჟზე დამსწრე საზოგადოება.

მახლობელ დღეებში ტირაჟი ნაჩვენები იქნება თბილისის ყველა კინო-თეატრებში და შემდეგ ამიერკავკასიის ყველა ქალაქებში.

სად შეიძლება სესხის ობლიგაციების შეძენა

იმ მეორე მომგებიანი სესხის ობლიგაციების ყიდვა, რომლის ტირაჟი დღეიდან იწყება თბილისში, შეიძლება:

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორაში, სამრეწველო ბანკში, რუსეთის კომერციულ ბანკში, თბილისის ქალაქის ბანკში, საკავშირო კოოპერატიულ ბანკში, ელექტრობანკში, ა | კ. სასოფლო სამეურნეო ბანკში, საქართველოს სასოფლო ბანკში, თბილისის ურთიერთ კრედიტის საზოგადოებაში.

ამას გარდა სესხის ობლიგაციების შეძენა შეიძლება ყველა ბანკების ყველა საგენტოებში, რომლებიც არსებობენ თბილისის ყველა რაიონებში და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებში, აგრეთვე შემნახველ კასებში.

ტირაჟის დროს ობლიგაციები გაიყიდება აგრეთვე სახელმწიფო ოპერის თეატრის ფოიეში.

ჩვენ გვესაჭიროება უცხოეთის კრედიტი, მაგრამ დამმონავებელ პირობებზე ჩვენ არ დავთანხმდებით; შინაური სახელმწიფო კრედიტის განვითარებით ნელა, მაგრამ უეჭველად აღვადგენთ მეურნეობას.

საბჭოთა წყობილება და ნოე ჟორდანია

2. მრეწველობის საკითხი

თავის პატარა წიგნაკში ნოე ჟორდანია წამდაუწუმ გაიძახის, რომ სოციალიზმის საფუძველი მსხვილი მრეწველობა არის, რომ მხოლოდ მის ნიადაგზე შეიძლება სოციალისტური მშენებლობაო: „კაპიტალიზმი და სოციალიზმი არის ორი ფორმა ერთი და იგივე ნივთიერი მოვლენის—დიდი ინდუსტრიის“ (გვ. 15). ეს უკანასკნელი არის, მისი აზრით, ნამდვილი რევოლიუციონური ეკონომიკა.

ნოე ჟორდანია მარქსისტობას ჩემულობს. ყოველი გაჭირვების დროს ის მარქსს მიმართავს და სთხოვს შველას. „მარქსისტული თვალსაზრისით რევოლიუციონური ეკონომიკაა დიდი (!) ინდუსტრია, **რევოლიუციურია მისი მატარებელი კლასები—ბურჟუაზია და პროლეტარიატი,** რეაქციონურია წვრილი ინდუსტრია და მისი მატარებელი შუათანა კლასები“ (გვ. 14 ხაზი ჩვენია); ასე გვარწმუნებს ავტორი. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ნოე ჟორდანიას, უმაგალითო იმპერიალისტური (ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური) ომის შემდეგ, ბურჟუაზია **გამოჰყავს რევოლიუციონურ კლასათ** პროლეტარიატთან ერთად. დიდი გაბედულება აქვს საქართველოს კონტრ-რევოლიუციის ბელადს! მაგრამ ვეჭვობთ, რომ მან დაარწმუნოს ვინმე ასეთი „მეცნიერული“ დებულებით. ჰკითხეთ დღეს ცოტად თუ ბევრად გათვითცნობიერებულ მუშას ან გლეხს: რევოლიუციონურია თუ არა ბურჟუაზია და ის კიდევაც გაოცდება ასეთი უბრალო და ყველასათვის აშკარა საკითხის დასმით. ის ღრმათ დარწმუნებულია თანამედროვე ბურჟუაზიის **კონტრ-რევოლიუციონერობაში.**

ჩვენ გვაინტერესებს მსხვილი მრეწველობის, ან როგორც ჟორდანია ამბობს, „დიდი ინდუსტრიის“ საკითხი. აბა რომელი მარქსისტი უარჰყოფს, რომ მსხვილი მრეწველობა არ არის საჭირო სოციალისტური მშენებლობისათვის? დიახ, ამას არ უარჰყოფს არც ერთი მარქსისტი, გვეუბნება ნოე ჟორდანია, მაგრამ თქვენ, ბოლშევიკებმა, ეს მარქსისტული დებულება დაივიწყეთ და მიზნად დაისახეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში უტოპიური იდეების განხორციელებაო. დიდათ მოსაწყენია ამ კითხვაზე წერა, რადგან მასზე ათასჯერ დაწერილა, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ კიდევ შევაჩეროთ ამაზე მკითხველის ყურადღება, რადგან აქედან გამოჰყავს ავტორს თავისი დიდებული დასკვნები საბჭოთა წყობილების შესახებ.

არც ერთი ბოლშევიკი არ უარჰყოფს დასახელებულ მარქსისტულ დებულებას. კომუნისტური პარტიის ბელადებს არა ერთხელ გამოუთქვამთ ამის შესახებ თავისი აზრი. აი მაგალითად ამხ. ლენინი, 1918 წ. დაწერილ პატარა წიგნაკში, რომელიც ნოეს გადაკითხული აქვს და საიდანაც მას მოჰყავს ციტატები, სწერს შემდეგს:

„სოციალიზმი წარმოუდგენელია მსხვილი კაპიტალისტური ტეხნიკის გარეშე, რომელიც უახლესი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით იქნება აგებული; იგი წარმოუდგენელია გეგმაშეწონილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გარეშე, რომელიც პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საქმეში ათეულ მილიონ ადამიანებს ერთიან სასტიკ ნორმას უნდა ემორჩილებოდეს. ამას ჩვენ, მარქსისტები, მუდამ ვამბობდით, და იმ ხალხთან სალაპარაკოდ (ანარქისტები და მემარცხენე ესერთა დიდი ნაწილი), რომელმაც ეს ვერ გაიგო, არ ღირს ორი წამის დაკარგვაც კი *).

ამ რიგათ, ლენინის აზრით, ყოველი მარქსისტისათვის უდავოა ის დებულება, რომ მსხვილი ინდუსტრია იქნება საფუძველი სოციალისტური გარდაქმნისა. ეს იმდენად ანბანური ჭეშმარიტებაა მისი აზრით, რომ საჭიროთაც კი არ სთვლის ამაზე ლაპარაკით დროს დაკარგვას.

მაგრამ საკმარისია ამ დებულების აღიარება? საკმარისია მარტო ადგე მარქსისტულ თვალთახედვის წერტილზე? რა თქმა უნდა, არა. საჭირო ეს ნაზრალი დოქტრინა რეალობათ აქციო, საჭიროა მას ხორცი შეესხა სინამდვილეში. აქეთკენ მიაქცია ბოლშევიზმმა ყურადღება. მენშევიზმი კი დღესაც „სდგას“ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ამ დოქტრინის ნიადაგზე და მისი განხორციელება ცოდვათ მიაჩნია მარქსიზმის წინაშე.

ბოლშევიზმი პირველად აწარმოებს ფართე სოციალისტური გარდაქმნის საქმეს მსოფლიოში. ეს პირველი მაგალითია ისტორიაში. რა თქმა უნდა, შეცდომები მოსალოდნელი იყო და არის, მაგრამ განა ეს იმას გვეუბნება, რომ სოციალისტურ მშენებლობას არ უნდა შევდგომოდით? ბოლშევიზმის უდიდესი ისტორიული დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველად **გადალახა წმინდა თეორეტიული საზღვრები და სოციალიზმის მშენებლობის საკითხი დასახა როგორც კონკრეტიული ამოცანა.**

ნოე ჟორდანია ამაზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს. მაგრამ ის ბევრს გვეუბნება მრეწველობის და ჩვენი პერსპექტივების შესახებ. ნოე გვიწინასწარმეტყველებს ადრე სიკვდილს, საბჭოთა წყობილების ახლო ხანში დანგრევას. ჩვენ ვიცით ყველა ამ წინასწარმეტყველების ფასი. აი, მაგალითად, თუ გინდ იმავე ჟორდანიამ სთქვა თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე 1917 წ. 28 ოქტომბერს შემდეგი: „აჯანყება პეტროგრადში **ხულს დაფავს. მისი ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი** იყო, ის უნდა დამარცხებულიყო იმიტომ, რომ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ისეთი საიდუმლო შეთქმულებით ეწინააღმდეგება რევოლიუციის ბუნებრივ მსვლელობას, რომლის თანახმად ძლაუფლების დაპყრობა შეიძლება მხოლოთ კლასთა ბრძოლის გზით“ *) (ხაზი ჩვენია ქ. ო.)

ჩვენ არ შევჩერდებით აქ ნოე ჟორდანიას კლასთა ბრძოლის ფილოსოფიაზე. ის იმდენათ ღარიბია, იმდენად მწირია, რომ მასზე შეჩერება ტყუილა-უბრალოდ დროის დაკარგვა იქნებოდა. მოყვანილ ციტატში ჩვენ ხაზი გაუსვით ნ. ჟორდანიას წინასწარმეტყველებას, რომელიც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მესამე დღეს (28 ოქტომბერს) ბოლშევიკებს აღსასრულს აღუთქვამდა. თავის წიგნაკში („საბჭოთა წყობილება“) ავტორი გადაჭრით არ ამბობს, თუ რამდენი დღე სიცოცხლისა დარჩა კიდევ საბჭოებს, მაგრამ მაინც აცხადებს, რომ ბოლშევიკური რეჟიმის კრახი მოახლოებულიაო.

ეს მეორე წინასწარმეტყველება განსხვავდება პირველისაგან. განსხვავდება მით, რომ ის ეყრდნობა „მარქსიზმს“, „მეცნიერულ“ გამოკვლევას; რა გზით მიაღწია ჟორდანიამ ჩვენთვის ასეთ საბედისწერო დასკვნას?

როგორც „მარქსისტმა“ (ალბათ ის დღემდე თავს მარქსისტად სთვლის) მან „ანალიზი“ გაუკეთა ჯერ საბჭოთა ეკონომიკას, ამ საფუძველს საბჭოთა პოლიტიკური ზედნაშენისას დიდი ქექვის შემდეგ მან ვერაფერი ვერ იპოვა იქ ბოლშევიკებისათვის საიმედო და სანუგეშებელი. როგორც პირველ წერილში დავინახეთ, ნოემ ყოველგან **წვრილი წარმოება და ძველი საწარმოო ფორმები აღმოაჩინა.** რა ვუყოთ! მან შეასრულა თავისი „მარქსისტული“ მოვალეობა, დიოგენის ფანრით ეძია საბჭოთა რესპუბლიკებში მსხვილი მრეწველობა, მაგრამ ვერ იპოვა იგი. ყოველ შემთხვევაში ის მარქსის წინაშე წმინდა და უცოდველი არის.

ნოე ჟორდანია თავისი წიგნაკის მე-12 გვ. გვეუბნება, რომ მსხვილი ინდუსტრია გაჩნდა და განვითარდა „რუსეთში გასული საუკუნის მე-70—80-ცე წლებიდან“. 1917 წლის ოქტომბრამდის მსხვილი ინდუსტრია არსებობდა რუსეთში, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკები დაერიენ მსხვილ მრეწველობას და გაანადგურეს იგიო.

მივსცეთ სიტყვა საბჭოთა წყობილების კრიტიკოსს. ის ამბობს:

„რუსეთის დღევანდელ საზოგადოების ანსხვავებს ყველა დანარჩენ საზოგადოებისაგან მხოლოდ ერთი ნიშანი—მსხვილ კაპიტალის განდევნა, მრეწველთა კლასის მოსპობა, **დიდი ინდუსტრიის განიავება. ამ თვისებით ხასიათდება საბჭოთა სისტემა, ეს არის მისი თანდაყოლილი თავისებურობა“** (გვ. 8, ხაზი ჩვენია ქ. ო.).

ნოე ჟორდანიამ ჩვენ უკვე გვითხრა, რომ მსხვილი ინდუსტრია რუსეთში მე-70—80 წწ. განვითარდა. მაგრამ

„საბჭოთა წყობილებამ მოსჭრა აი ეს უკანასკნელი საფეხური და ქვეყანა ჩააბრუნა მის წინა საფეხურზე, მოშალა ახალი კლასები და გაანატონა ძველი საშუალო კლასები“ (გვ. 13). ბოლშევიკებმა გაანადგურეს მსხვილი მრეწველობა, თუმცა-ღა ისინი ბევრს ლაპარაკობენ მის აღორძინებაზეო, ასეთია „კრიტიკოსის“ დასკვნა. მიუხედავად ბოლშევიკების ბელადების ასეთი ლაპარაკისა, „ინდუსტრია არა თუ დგება, პირიქით, ის უფრო და უფრო ეცემა“ (10). მაშასადამე, **მსხვილი მრეწველობა განაგრძობს დაცემის გზაზე სვლას, განაგრძობს განადგურებას და განიავებას.**

მაგრამ ეს ცოტაა. „საბჭოთა სისტემით დაზარალდა მთელი ხალხი, ყველა კლასები გამოუკლებლივ. სიღატაკემ მიიღო საერთო ხასიათი, ეს გახლავს ერის სრული პაუპერიზაცია, **ამბავი სრულიად გაუგონარი დღეს კულტურულ ქვეყნებში“** (გვ. 54, ხაზი ჩვენია. ქ. ო.).

ყველა ამ ამონაწერებიდან გამომდინარეობს სამი დასკვნა:

პირველი: რუსეთში მსხვილი ინდუსტრია განადგურდა და განაგრძობს განადგურებას;

მეორე: ყველა კლასები, მთელი ერი გაღარიბდა, დაადგა პაუპერიზაციის გზას;

მესამე: ასეთ მოვლენას არა აქვს ადგილი არსად, გარდა საბჭოთა რესპუბლიკებისა.

მენშევიკები საქართველოში და საზღვარგარეთ ყოველ გზა ჯვარედინზე ყვირიან საბჭოთა მრეწველობის დაცემაზე. ნოე ჟორდანიამ აქედან თეორეტიული დასკვნაც გამოიყვანა, რომლის ძალით უნდა იშვას რუსეთში კონფლიქტები, წინააღმდეგობები და ბოლოს კიდევაც დაინგრეს ბოლშევიკური ხელისუფლება.

ჩვენ გვინდა ამ წერილში მთელი ყურადღება შევაჩეროთ მრეწველობის საკითხზე. ეს უდიდესი და ყველაზე უფრო სერიოზული საკითხია. ნოე ჟორდანია მართალია, როდესაც მას უკავშირებს საბჭოთა წყობილების ბედს. თუ მრეწველობა გაყინულია ერთ ადგილზე ან ეცემა, ეს მართლაც იმის მომასწავებელია, რომ მასზე აშენებული პოლიტიკური ძალაუფლება რეაქციონური და ყოვლად უვარგისია. ასეთი იყო ნიკოლოზის რეჟიმი. ეხლა ნოე ბრალს სდებს საბჭოებს რეაქციონერობაში.

წინ მიდის თუ არა მსხვილი მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით? ეს ცენტრალური საკითხია, ყოფნა-არყოფნის საკითხი არსებული მუშათა და გლეხთა წყობილებისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ სწორედ ამიტომ აინტერესებს ეს საკითხი ყველა მეგობარს და მოკეთეს თანამედროვე რეჟიმისას. სწორედ ამიტომ საჭიროა ამ საკითხზე შეჩერება. ამას გარდა, საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოვუღოთ მენშევიკების ზღაპრებს საბჭოთა რესპუბლიკებში მრეწველობის დაცემის და განიავების შესახებ.

ჩვენ განვიხილავთ რუსეთის მრეწველობის განვითარებას უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყნებთან დაკავშირებით. მართალია თუ არა ნ. ჟორდანია, როდესაც გვეუბნება, რომ მრეწველობა დაეცა მარტო რუსეთში და რომ ამ მოვლენას სხვაგან ადგილი არ ჰქონიაო? ამ კითხვაზე პასუხის მისაცემათ ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს ზოგიერთი მთავარი პროდუქტების წარმოების შესახებ 1913 წ. (ომის წინ) და 1921 წ. (ომის შემდეგ).

ოთხი წლის განმავლობაში წარმოებულმა ომმა ძირბუდიანათ ააფორიაქა მთელი მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრება. არავინ არ ფიქრობდა საწარმოვო ძალების განვითარებაზე; საამისო დრო არ იყო, რადგან ყველა კაპიტალ. მთავრობები ზრუნავდენ კაცის საკვლელ იარაღების დამზადებაზე. შეიძლება აუარებელი სტატისტიკური ცნობების მოყვანა იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ ომმა უარყოფითად იმოქმედა მრეწველობაზე და უკან დააქანა ის. საჭირო არ არის მათი აქ მოყვანა ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, რომელნიც ნათლად გვიჩვენებენ **ტენდენციას.**

ინგლისი *).

	1913 წ.	1921 წ.
ქვანახშირის ამოღება, მილიონი ტონებით — —	292	166
თუჯის გადადნობა	10,0	2,6
ბამბის მოხმარება ათასი ტონებით —	900	420

რას გვეუბნებიან ეს ციფრები? ისინი გვეუბნებიან, რომ ინგლისში, ამ უძველეს და უძლიერეს კაპიტალისტურ ქვეყანაში, წარმოება **ორჯერ** შემცირებულა დაახლოვებით. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ მსოფლიო ომი გათავდა 1918 წ. და რომ ამის შემდეგ ინგლისში არაფერი ხელს არ უშლიდა მრეწველობის განვითარებას. მაგრამ საკმაო ბაზრის უქონლობა ჰკლავს ინგლისის მრეწველობას, ფრთებს აჭრის მის აღდგენას და განვითარებას. 1921 წ. შემდეგ მდგომარეობაი გაუმჯობესდა, წარმოება გაიზარდა, მაგრამ ზოგიერთ მნიშვნელოვანი დარგები **დღემდისაც ვერ გაუთანასწორდენ ომის წინათ არსებულ დონეს.** ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, რკინის და ქვანახშირის ამოღების საქმეში.

შეიძლება მარტო ინგლისში შემცირდა წარმოება, შეიძლება ომის ზეგავლენით ამას სხვაგან ადგილი არ ჰქონია? ვნახოთ!

გერმანია **)

	1913 წ.	1920 წ.
ქვანახშირის ამოღება, მილ. ტონ.	191,1	131,3
თუჯის გადადნობა	19,7	6,0
ბამბის მოხმარება ათასი კინტ.	1702 (1913—14 წ.)	837 (1920—21 წ.)

მაშასადამე, წარმოება **საგრძნობლათ შემცირებულა გერმანიაშიაც.** აქედან მკითხველი დაინახავს, რომ მარტო რუსეთი როდი ხასიათდება მრეწველობის დაცემით, არამედ ისეთი განვითარებული, კულტურული ქვეყნებიც კი, როგორიც არიან ინგლისი და გერმანეთი. მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებმა გადასდგეს წინ ნაბიჯი ომის ხანაში, მაგრამ 1921 წ., კრიზისის გამო, იქაც საგრძნობლათ შემცირდა საქონლის დამზადება.

აქედან გამომდინარეობს უდავო დებულება, რომ ომმა სანახევროთ გაანადგურა და დასცა მრეწველობა თითქმის ყველა ქვეყნებში. სხვანაირათ არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო.

ეხლა მივატოვოთ დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნები და გადავიდეთ რუსეთზე. მსოფლიო ომში მონაწილეობის შემდეგ აქ სწარმოებდა სამოქალაქო ომი 1917—20 წ.წ., ასე რომ წარმოებისათვის არანორმალური მდგომარეობა გაგრძელდა აქ დაახლოვებით 6—7 წ. მაშინ, როდესაც ევროპაში მხოლოდ 4 წელს. რა თქმა უნდა ამან კიდევ უფრო მეტი უარყოფითი გავლენა იქონია წარმოებაზე. და მართლაც ჩვენ ვხედავთ მრეწველობის დაცემას 1921 წლამდის.

ამას გვიჩვენებენ შემდეგი ციფრები

რუსეთი *)

	1913 წ.	1920 წ.
ქვანახშირის ამოღება, მილ. ტონ.	36	8
თუჯის გადადნობა	4,1	0,1
ბამბის მოხმარება მილ. ფ.	23,9	0,8

ამრიგათ **რუსეთის მრეწველობა** 1918 წლიდან, განსაკუთრებით კი 1915 წლიდან, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების **განუწყვეტლივ ეცემა.** არ არის არავითარი ნიშანი იმის, რომ ეკონომიური მდგომარეობა უმჯობესდება. და განა შეიძლება სხვაფერ ყოფილიყო საქმე?

დავუშვათ, რომ რუსეთში სამოქალაქო ომს არ ჰქონდა ადგილი. მაშინ რა თქმა უნდა მრეწველობის დაცემის პროცენტი დაახლოვებით ისეთივე იქნებოდა, როგორც უცხოეთში (მსოფლიო ომის ზეგავლენით). მაგრამ **სამოქალაქო** ომის დროს საშინლათ შემცირდა ჩვენი მრეწველობა. ეს მოვლენა ახსნას არ საჭიროებს. ეკონომიური ბლოკადა, კონტრ-რევოლიუციონური გენერლების თავდასხმა, მათ მიერ ფაბრიკა-ქარხნების, ხიდების და სხვ. განა-

---

*) Ленин—Новая экон: политика, стр. 41

„С людьми, которые даже это не поняли (анархисты и добрая половина левых эсеров), не стоит тратить даже и двух секунд на разговор“ (ხაზი ჩვენია ქ. ო.).

*) Н. Жордания, За два года, доклады и речи. Тифлис, 1919 წ. გვ. 48.

*) ცნობები ამოღებულია პერვუშინის წიგნიდან: „Хозяйств. конъюнктуры, Москва, 1925 г., გვ. 223.

**) იქვე, გვ. 812.

*) იქვე გვ. 223.

პარტიული ცხოვრება

ა/წ. 21 სექტემბრისათვის მოწვეულია

ს. კ. პ. (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტების სააგიტ.-საპრ. განყ.

გამგეთა თათბირი

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააგ.-საპ. განყ.

საქ. კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის ყველა წევრებსა და კანდიდატებს

ძვირფასო ამხანაგებო! სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის უკანასკნელმა გამოკვლევამ, რომელიც მოახდინა რუსეთის კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ, აღმოაჩინა, რომ ოლქში ფრიად მოუწესრიგებელია პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაობა.

პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს,—რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და საქართველოს კომპარტიის ცეკას—საჭიროთ მიაჩნიათ ასეთი არანორმალური პირობების დაუყონებლივ აღმოფხვრა და მიმართავენ ამ წერილით სამხრეთ-ოსეთის მთელ ორგანიზაციას.

კომისია და აგრეთვე რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და საქ. კომპარტიის ცეკა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მუშაობის მოუწესრიგებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ოლქის კულტურული და ეკონომიური ჩამორჩენილობის გარდა, სამხრეთ-ოსეთის პარტორგანიზაციის შინაური ცხოვრების მოუწესრიგებლობაც არის. ორგანიზაცია დაუძლურებულია შინაური კინკლაობით და ჯგუფური ბრძოლით.

ეს კინკლაობა და ჯგუფური ბრძოლა 1921 წელში დაიწყო და მიუხედავათ იმისა, რომ პარტიამ იმთავითვე მიიღო გადაწყვეტილებები და ზომები ამის წინააღმდეგ, ის დღემდისაც არ შეწყვეტილა.

კინკლაობამ და გაუტანლობამ ფეხი მოიკიდა პარტიულ და კომკავშირის მასებს გარეშეც, უპარტიოთა შორისაც.

არავითარი სოციალ-ეკონომიური საფუძველი ამ კინკლაობას არა აქვს. ის ნაწილობრივ იმ ფრაქციული ბრძოლის გამოძახილი არის, რომელიც უკვე კარგა ხანია აღმოიფხვრა საქართველოს კომპარტიის რიგებში, უმთავრესად კი ეს უნდა მიეწეროს იმ მავნე ანტიკომუნისტური ელემენტების „საქმიანობას", რომლებიც გამანადგურებელი მუშაობით სცემენ პარტიის და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოების ავტორიტეტს და ნდობას პარტიულ და უპარტიო მასების თვალში.

გამოირკვა, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც კინკლაობას მოუნდა, უყურადღებოთ მიატოვა და თითქმის სავსებით მიივიწყა საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე.

თავის თავად ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია პარტიის პოლიტიკის გატარება სოფლად.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ორგანიზაციის ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს შემდეგშიაც.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის წინაშე, რომელიც გაანადგურეს და დაარბიეს მენშევიკებმა, უდიდესი ამოცანებია წამოჭრილი. იქ უნდა აღსდგეს და აყვავდეს მეურნეობა, ეს ოლქი უნდა მოღონიერდეს და ეზიაროს ახალ საბჭოთა ცხოვრებას. ამ ამოცანების შესრულება ყოვლათ შეუძლებელია, თუ ორგანიზაციის რიგებში არ აღმოიფხვრა კინკლაობა.

ამის გამო რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და საქ. კომპარტიის ცეკას სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის მდგომარეობა არანორმალურათ მიაჩნიათ, ისინი დაუშვებლათ სთვლიან კინკლაობის გაგრძელებას და მოუწოდებენ მთელს სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციას დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ორგანიზაციის გამთიშავი კინკლაობა, დაამყარონ პარტიის რიგების შეურყეველი მთლიანობა და შეერთებული ძალებით, შეთანხმებულათ შეუდგნენ მუშაობას პარტიის უკანასკნელ დადგენილებათა ნიადაგზე.

ამასთანავე ერთად რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა და საქ. კომპარტიის ცეკამ სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის გაჯანსაღების მიზნით გადასწყვიტეს გადასინჯონ მთელი ის ორგანიზაცია და განდევნონ მისი რიგებიდან ის უვარგისი ელემენტები, რომლებიც თავის არაკომუნისტური მუშაობით ხელს უწყობდენ პარტიის რიგების დაქსაქსვას და საბჭოთა ორგანოების სახელის გატეხას.

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გახურებული შანთით

დღეს ჩვენ ვათავსებთ რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას მოწოდებას სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის მიმართ.

ეს მოწოდება რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაგზავნილ გამომკვლევ კომისიის მუშაობის შედეგია.

ამ ზაფხულის განმავლობაში მარტო სამხრეთ-ოსეთში არ ყოფილა გაგზავნილი ასეთი კომისია.

ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა მაზრებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში თავის დროზე დაიგზავნა ასეთი კომისია, რომლებსაც დაევალათ გამოეკვლიათ ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების მუშაობა და მათი საქმიანობა.

ამ კომისიებმა, მართლაც მოიარეს თითქმის მთელი ამიერ-კავკასია, დაათვალიერეს რამოდენიმე ათეული მაზრა, ინახულეს ისეთი მივარდნილი კუთხეებიც კი, სადაც არას დროს არც ერთ ცენტრალურ მთავრობის არ შეუდგამს ფეხი, და მდიდარი მასალით დატვირთული დაბრუნდენ უკან.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ერთი ასეთი კომისია სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქშიაც მუშაობდა.

რა გამოარკვია ამ კომისიის მუშაობამ?

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგათ ძალიან ცუდი სურათი გადაიშალა თვალწინ.

კინკლაობა, გაუტანლობა, ჯგუფური ბრძოლა ერთი-მეორის წინააღმდეგ—აი სურათი, რომელსაც წარმოადგენდა სამხრეთ-ოსეთის პარტიული ორგანიზაცია.

მეტად სავალალოა ასეთი მდგომარეობა, მაგრამ კიდევ მეტად სამწუხარო ის არის, რომ ასეთი მოწამლული ჰაერი უპარტიო მასასაც მოსდებია და ისიც მოუწამლავს.

მთელი რიგი პასუხისმგებელი, საბჭოთა და პარტიული მუშაკები ერთი მეორის წინააღმდეგ ბრძოლის მეტს არაფერს აკეთებდენ ხოლმე, და ეს ისეთ ქვეყანაში, ისეთ მხარეში, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო შეთანხმებული მუშაობა, სადაც გაძლიერებული უნდა ყოფილიყო დიდი ენერგიული მუშაობა დანგრეულ და განადგურებულ მეურნეობის აღსადგენათ. სამხრეთ-ოსეთი მენშევიკების ბატონობის დროს საშინლად დაზარალდა, გადაიწვა და განადგურდა მთელი სოფლები, წელში მოიხარა მშრომელი გლეხობა, დაეცა სასოფლო-მეურნეობა.

ციურ მანანასავით მოელოდა სამხრეთ-ოსეთის მშრომელი გლეხკაცობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ის თვითონაც იბრძოდა მისთვის იმიტომ, რომ მშრომელთა ხელისუფლების დროს აღდგენა და კვლავ ფეხზე დაყენებაა თავისი განადგურებული კერა, ოჯახი და მეურნეობა.

დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთი-მეორეს შორის კინკლაობას მოუნდნენ და იქ, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო საბჭოთა პოლიტიკის გატარება და დახმარება მშრომელთათვის,—ყველაზე ნაკლები ან სულ არაფერი არ გააკეთეს.

პარტიული ორგანიზაცია დასუსტებული იყო შინაური კინკლაობით და ჯგუფური ბრძოლით და ამიტომ პარტიული და საბჭოთა მუშაობაც უპატრონოთ, უხელმძღვანელოთ იყო მიტოვებული.

რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა ვერ გაგრძელდებოდა დიდხანს (სხვათა შორის, ამ ზაფხულზე საბჭოთა უჯრედების შემმოწმებელმა კომისიამ რამოდენიმე საკმაოდ პასუხისმგებელი კომუნისტი გამორიცხა პარტიიდან) რა თქმა უნდა ეს გარემოება არ გამოეპარებოდა საგანგებოთ გაგზავნილ კომისიასაც.

დღეს, პარტია გადაჭრით შეუდგა დაავადებულ ორგანიზაციის გაჯანსაღებას. უკვე მიღებულია საჭირო ზომები; დაწყებულია საკმაოდ რთული მუშაობა სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის გაჯანსაღების მიზნით.

აი ზოგიერთი, ცხოვრებაში უკვე გატარებული ზომა: მოხსნილია თანამდებობიდან სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი ჩერმენ-ბეგიზოვი, გადაეცა საკონტროლო კომისიას მთელი რიგი პასუხისმგებელ კომუნისტების საქმე—მათ შორის: ჩერმენ-ბეგიზოვის, მიხეილ სანაკოევის, გიორგი ცხოვრებოვის და სხვების.

სამხრეთ-ოსეთის ყოფილი პროკურორი მათე სანაკოევი და ლეონტი ჯიჭოევი გარიცხულია პარტიიდან.

მოხსნილია თანამდებობიდან სამხრეთ-ოსეთის შინაგან საქმეთა კომისარი—გარსიევი და საინფორმაციო პუნქტის გამგე—აბაევი და სხვა.

და ბოლოს პარტიის უმაღლესი ორგანოების დადგენილებით სამხრეთ-ოსეთის პარტორგანიზაციის მთელი შემადგენლობა ხელახლა იქნება შემოწმებული და მისი რიგები საბოლოოდ გაიწმინდება პარტიისათვის უცხო ელემენტებისაგან.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ პარტიის სიმტკიცისათვის და მისი რიგების მთლიანობისათვის ჩვენი პარტია არავითარ ზომებს არ დაერიდება.

სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის რიგების დათვალიერება ბოლოს მოუღებს იმ არასასურველ მდგომარეობას, რომელიც დღემდის იყო.

გაწმენდილი და გაჯანსაღებული ორგანიზაცია შეივსება იმ ახალი ძალებით, უმთავრესათ კი მუშებით, რომელთაც პარტიის უმაღლესი ორგანოები გზავნიან იქ სამუშაოდ.

ამგვარად სამხრეთ-ოსეთის წინსვლისა და განვითარების საქმე უზრუნველყოფილია.

აი, ასეთი შედეგები მოიტანა სამხრეთ-ოსეთის გაგზავნილ კომისიის მუშაობამ. ეს შედეგი დიდი გაკვეთილია. ის დაანახვებს ყველას, რომ გაიძვერა და მშრომელი ხალხისათვის მავნე ხალხს არ დაინდობს ჩვენი პარტია, მიუხედავათ მისი მდგომარეობის და თანამდებობისა.

ქ. ლ.

მიწათმოწყობა ჩვენში

თბილისის მაზრა

მას შემდეგ, რაც ქალაქის და მაზრის აღმასკომი გაერთიანდა, მიწათმოწყობის საქმის წარმოების მხრივ თბილისის მაზრას საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს. უკანასკნელი სამი წელი ამ მაზრაში მუშაობს თითქმის მთელი წლის განმავლობაში 10 მიწისმზომელი, რომელთა მუშაობა უკვე იძლევა ნაყოფს: საჩივრები მიწის რეფორმის გატარებაზე შემოდის ყველა მაზრაზე უფრო ნაკლები თბილისის მაზრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უფრო რთული მიწის საკითხის გადაჭრის მხრივ სწორედ ეს მაზრაა; სხვადასხვა ერები: ქართველი, რუსი, სომეხი, ოსი, ბერძენი, გერმანელი, ქურთი, თათარი და სხ. ამ მაზრაშია თავმოყრილი და სცხოვრობენ მთელი რაიონებით; ყველა მათგანს თავისი განსაკუთრებული წეს-ადათი აქვს მიწის სარგებლობისა, ყველა თავისებურად მოითხოვს მიწის საკითხის გადაჭრას.

მიწის სარგებლობა ორ ფორმაშია ჩამოსხმული: თემური და კომლეური; პირველი ფორმა გავრცელებულია მაზრის სამხრეთ ნაწილში, მეორე კი დანარჩენ ადგილებში. თემური მიწისმოსარგებლე არა ქართველები არიან, თუმცა ამ წესს აქა-იქ ქართველებშიც მოუკიდნია ფეხი.

დღემდე წარმოებული მიწათმოწყობა უმთავრესად შეეხო სამხრეთის ნაწილს, სადაც ნახევრად მესაქონლეობის რაიონებია და ამ ნიადაგზე საადგილმამულო ურთიერთობა ყოველთვის უფრო გამწვავებულია, რასაც განსაკუთრებით ჰქონდა ადგილი უკანასკნელ წლების განმავლობაში საქონლის არა ჩვეულებრივი ტემპით ზრდის გამო. მიწათმოწყობას რაიონებში ართულებს არა მარტო ის, რომ საჭირო ხდება მიწისა და საძოვრების ნორმებით მცხოვრებთა დაკმაყოფილება სათანადო პროპორციით, აქ ემატება სანახირე გზების საკითხიც, რადგან თბილისის მაზრაზეა ერთად ერთი გზა კახეთის მესაქონლეობისა ჯავახეთისაკენ, ურომლოდაც ჩვენი მესაქონლეობა ისე ვერ გასძლებს, როგორც თევზი უწყლოდ. სანახირე გზების გამოყოფა სიფართით 60 საჟენამდე და საქონლის დასასვენებელი ადგილების გამოჭრა ართულებს სოფლის მიწისმოწყობას. მიუხედავად ასეთი სირთულისა თბილისის მაზრის ერთი მეოთხედის მიწათმოწყობა დღეს გათავებულათ უნდა ჩაითვალოს იმ წესით, როგორითაც დღემდე ტარდებოდა მიწათმოწყობა, ე. ი. ნაკვეთების რეგისტრაციით და ინსტრუმენტალური აზომვით მხოლოთ საჭირო შემთხვევებში. მართალია ეს წესი არ არის მიწათმოწყობის ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა, მაგრამ იმ გამწვავებულ ურთიერთობის დასაშოშმინებლათ, რომელსაც ჰქონდა ადგილი ყველგან და განსაკუთრებით თბილისის მაზრაში, აგრარულ რეფორმის საჩქაროთ ჩატარების შემდეგ, საჭირო იყო ასეთი მუშაობა, რომლის ღირსება მდგომარეობს მის სიჩქარეში, როგორც პირველი დახმარებისა გაჭირვებულ მდგომარეობაში.

მიწების რაოდენობა და მათი სხვადასხვაობა თბილისის მაზრაში შემდეგია:

სამოსახლოებს უჭირავს	1982	დეს. ანუ	0,5	პროც. მაზ. ტერიტორიის
ბაღებს „	628	„ „	0,2	„ „ „
ვენახებს „	1080	„ „	0,3	„ „ „
სარწყავ საყანეებს „	26,739	„ „	7,4	„ „ „
ურწყავ „ „	103,794	„ „	28,4	„ „ „
სათიბებს „	4,544	„ „	1,2	„ „ „
გილმუჩნარებს (სასოფლო საბალახოები)	22,852	„ „	6,2	„ „ „
საზაფხულო საძოვრებს	30,083	„ „	8,2	„ „ „
საზამთრო „	36,816	„ „	10,1	„ „ „
ტყეს „	118,335	„ „	32,3	„ „ „
უვარგის მიწებს „	19,133	„ „	5,2	„ „ „
სულ	365,990	„ „	100	

მაზრაში სულ 309 სოფელია 32,073 კომლით და 148,219 მცხოვრებით ორთავე სქესისა: სოფლები მათი სიდიდის მხრივ შემდეგნაირათ ნაწილდება: 20 კომლამდე თითოში—23,3 პროც., 20-50 კომლამდე—27,2 პროც., 50—100 კომლამდე—17,8 პროც., 100—250 კომლამდე—22,0 პროც., 250—500 კომლამდე—7,1 პროც., ხოლო 500 კომლს ზევით—2,6 პროც. კომლზე ორთაშუა მოდის სასოფლო სამეურნეო მიწა 5 დესეტინა, ხოლო სულზე—1,1 დესეტინა კანონიერ ნორმამდე დასაკმაყოფილებლად მაზრას აკლდება 62.888 დესეტინა. ამნაირათ ასეთ მაზრამაც, რომელსაც პირველ შეხედვით მიწა თითქოს საკმაო აქვს სინამდვილეში მიწის სივიწროვეა.

დამუშავებულია ყველა მიწები, რომლის დამუშავებაც კი შეიძლებოდა, რის გამოც სამოსახლო ადგილები კომლზე მოდის ორთაშუა მხოლოდ 0.06 დესეტინა, ე. ი. 144 კვ. საჟ. რაც ყოვლად დაუშვებელი, რადგან ასეთ ვიწრო სამოსახლოებზე არამც თუ მეურნეობის გაშლა, ადამიანური ცხოვრებაც შეუძლებელია, ძლიერ ავიწროვებს ამ მაზრის მიწისსარგებლობას აგრეთვე ის გარემოება, რომ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს საკმაოდ ბევრი მიწა უჭირავს—სათიბი და საძოვარი.

თბილისის მაზრის სოფლის მოსახლეობის დიფერენციაცია მიწისსარგებლობის მხრივ, თანახმად 1921 წელს შედგენილ კომლურ აღწერისა, შემდეგია:

უმიწო და ნახ. დეს. ნაკ. მქონე კომლი არის	14.1	პრ. რომ. უჭ. სულ	1.1	პრ.	ყველა მიწ.
1 | 2 დესეტინა 2 დეს.	„ 8.3	პრ. „ „	2.6	პრ.	„ „
2 „ 4 „	„ 13.9	პრ. „ „	7.7	პრ.	„ „
4 „ 10 „	„ 62.3	პრ. „ „	83.9	პრ.	„ „
10 „ 50 „	„ 1.4	პრ. „ „	4.7	პრ.	„ „

ამგვარათ თბილისის მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობა საშუალო გლეხობაა. მიწისმოწყობის მთავარ ამოცანას აქ შეადგენს სამოსახლოების მოწყობა და 86,3 პროც. მცირე მიწის მქონე გლეხობისათვის საკმაო მიწის მიცემა. გარდა ამისა, მიუხედავად მიწის ნაკლებობისა, უნდა გადიჭრას საკითხი ყარაის და სამგორის ველების მორწყვის შემდეგ საგადასახლებო ფონდის შესახებ. საქართველოს საგეგმო კომისიის პერსპექტიული გეგმის თანახმად, მიწათმოწყობა თბილისის მაზრაში უნდა დამთავრდეს 1928 წელს.

გ. გ—ძე.

ეკონომიური ცხოვრება

შეღავათები სახელმწიფო და კოოპერ. ორგანიზაციებს

ფართლეულობა.

სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები მათზე გაცემულ საქონლის ღირებულებიდან ნაღდათ იხდიან 25 პროცენტს, ხოლო დანარჩენი რაოდენობა საქონლისა ეძლევათ ნისიად განსაზღვრული ვადით ქალაქად—42 დღით, რკინის გზის ახლო მდებარე ადგილებში—50 დღით, ხოლო დანარჩენ ადგილებში—60 დღით.

ლითონის ნაწარმოები.

ლითონის ნაწარმოების გაცემა თანახმად პირობებისა, იწარმოებს შემდეგნაირად: ჭურჭლეულის გაცემის დროს გადაიხდიან ღირებულების 20 პროცენტს, სახურავ რკინისა და ლურსმანის გაცემის დროს —15 პროცენტს და [illegible] გაცემის დროს—10 პროცენტს; დანარჩენ თანხებს ჰფარავენ სამი თვის განმავლობაში.

შაქარი.

სახ. და კოოპ. ორგანიზაციებზე ვაგონებით შაქრის გაცემის დროს, ეს უკანასკნელები ნაღდათ იხდიან ღირებულების 10 პროცენტს და ვაგონებზე ნაკლებ რაოდენობის გაცემისას—15 პროც.

დანარჩენ ღირებულებას ქალაქის ორგანიზაციები იხდიან 20—დღეში და სოფლისა—30 დღეში.

იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს შაქრის ტრესტის საწყობი, ვადა უგრძელდება 10 დღით, ე. ი. ქალაქს ეძლევა—30 დღე და სოფელს—40.

შეშის მომარაგება

ჩვენს თანამშრომელს საქართველოს სატყეო ტრესტის კომერციულ განყოფილებაში შეშის დამზადების შესახებ აცნობეს შემდეგი:

— წელს შეშის დამზადება საქართველოში, წარმოებდა ფოთის, ლანჩხუთის, ხაშურ-შორაპნის და კახეთის რაიონებში. სულ დამზადებულია 15 ათასამდე კუბიკური საჟენი შეშა; აქედან შეშა მიეცემა სამხედრო უწყებას, ქალაქის აღმასკომს და თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებს. საამისოთ დადებულია და ახლათ იკვრება სათანადო ხელშეკრულებები.

ამას გარდა, ტრესტი სომხეთშიაც აგზავნის 500 კუბ. საჟენ შეშას.

ამჟამად სატყეო მრეწველობის ტრესტს თბილისში მომარაგებული აქვს 2000 საჟენზე მეტი შეშა; ეს რაოდენობა ყოველდღე იზრდება რამოდენიმე ვაგონ შეშით.

აღსანიშნავია, რომ ტრესტი ბითუმათ გაყიდვის გარდა შეშას წვრილათაც გაყიდის თბილისში; მას აქვს საამისო საწყობი, საიდანაც მომხმარებელს საშუალება ექნება შეშა იყიდოს ფუთობითაც.

რაც შეეხება ფასებს, უნდა ითქვას, რომ შარშანდელი ფასების მიხედვით ერთი კუბიკური საჟენი მაგარი შეშა უნდა გაიყიდოს 55 მანეთად—საწყობიდან. ეს საწყობი მოთავსებულია ანდრიას და ფოთის ქუჩების კუთხეში. მაგარი ჯიშის შეშად ითვლება რცხილა, წიფელა, კოპიტი და თელა.

რბილი ჯიშის შეშა, როგორიც არის თხმელა, საჟენი გაიყიდება 45 მანეთად.

ტრესტს აქვს საკუთარი გადასაზიდი საშუალებანი, რომლითაც მყიდველებს შეუძლიათ ისარგებლონ, რასაკვირველია, ფასით. ერთ საჟენ შეშის გადაზიდვა ქალაქის ფარგლებში ეღირება საშუალოთ 8—10 მანეთი.

სასოფლო მეურნეობა

საქონლის საკვების საკითხი ქართლში

ჩვენს თანამშრომელს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში აცნობეს შემდეგი:

მიმდინარე ზაფხულის მეორე ნახევარში (ივლისში და აგვისტოში ქართლში ძლიერი სიცხეები დაიჭირა. გვალვამ ზიანი მიაყენა ნათესებს და განსაკუთრებით სათიბ ბალახებს, რამაც გამოიწვია საკვები მასალის შემცირება.

ქართლელმა გლეხებმა დაინახეს რა, რომ ზამთრისთვის მათ არ ექნებათ საქონლის საკმაო საკვები, დაიწყეს საქონლის გაყიდვა.

გორში კვირაში ერთხელ იმართება დიდი ბაზრობა, სადაც გლეხებს გასასყიდათ მიყავთ საქონელი ქართლის ყველა კუთხეებიდან. მყიდველი ბევრი არ არის, ამით სარგებლობენ იქაური და აქაური ჩარჩები და სცდილობენ მუქთათ შეიძინონ გლეხების მუშა-საქონელი.

ამჟამად საქონლის ფასები ასეთია: ძროხა, რომელიც ჩვეულებრივად 80—85 მანეთი ღირდა, ეხლა ღირს 35 მანეთი, 80—90 მანეთიანი ხარი —45—50 მანეთი, 80—100 მანეთიანი კამეჩი—60—70 მანეთი.

აშკარაა, რომ ქართლელი გლეხი დიდ გაჭირვებას განიცდის. მას ესაჭიროება ნივთიერი დახმარება. ასეთი დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციებია საკრედიტო ამხანაგობები.

ამჟამად ქართლში ითვლება ათიოდე საკრედიტო ამხანაგობა, რომელთაგან თვითეულის ძირითადი თანხა საშუალოდ უდრის 2—3 ათას მანეთს; ცხადია, რომ ასეთი მცირე თანხებით რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა ძნელია.

მეორე და აუცილებელ ღონისძიებათ უნდა ჩაითვალოს ხელოვნური ბალახის თესვის შემოღება.

ადგილობრივმა აგრო-დახმარების სადგურებმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა (უმთავრესათ ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას) ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ გლეხებს მიაწოდონ იონჯა, კოლიანდრი, ესპარცეტი და სხ. ეს ისეთი ბალახებია, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში ორჯერ-სამჯერ ითიბება და მცირე ნაკვეთზე დათესილი ბალახი შეინახავს საშუალო გლეხის საქონელს.

ქართლში დაწყებულია ასეთი ბალახების თესვა, რამოდენიმე ადგილას დათესილია საცდელი მინდვრები, მაგრამ ეს არის მხოლოდ ნიმუში, საჭიროა ხელოვნური ბალახის გაფართოვება.

ამას გარდა მუშა-საქონლის გაყიდვის შეჩერების მიზნით აუცილებელია სესხის მიცემა გლეხებისათვის რომ მათ შესძლონ საქონლის საკვების შეძენა მიმდინარე წელში.

დგურება,—აი მიზეზები რუსეთის მრეწველობის ასეთი უკან დაქანებისა.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ სამოქალაქო ომის დროს მრეწველობაზე ზრუნვის დრო არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ბედი პროლეტარიატის რევოლიუც. დიქტატურისა. მუშები ფრონტზე წავიდნენ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ იმ იმედით, რომ გამარჯვების შემდეგ მშვიდობიან ცხოვრებას და შრომას დაუბრუნდებოდენ.

არ შეიძლება, სამოქალაქო ომის ხანაში, მრეწველობის დაცემა ბოლშევიკებს დავაბრალოთ; არ შეიძლება ამ ფაქტიდან ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოვლათ უვარგისი და რეაქციონური წყობილება არის.

ამავე დროს სწორედ ამას სჩადის ნოე ჟორდანია. დენიკინმა, კოლჩაკმა, იუდენიჩმა და სხვ. ბანდიტებმა ნოე ჟორდანიას მთავრობის ლოცვა-კურთხევით დაანგრიეს ფაბრიკა-ქარხნები, გაანადგურეს წარმოება და ყოველივე ამის ეხლა, ჩვენი ჩინებული ავტორი, ბოლშევიკებს აჰკიდებს თავზე. ესაო და რადგან მრეწველობა უკან დაექანა, მაშასადამე, თქვენ არ ვარგიხართ და ამიტომ ძალაუფლებაზე ხელი უნდა აიღოთ მენშევიკების, ესერების და კადეტების სასარგებლოთო.

მაგრამ მოითმინეთ, მოქ. ჟორდანია! საბჭოთა წყობილების რეაქციონურათ გამოცხადება ასეთი თქვენი „მეცნიერული" კვლევა-ძიებით შეუძლებელია. არ დაგიჯერებს ამას არავინ, თვით თქვენი შეთხზულებული მრევლიც.

მთელ საკითხს სწყვეტს მრეწველობის განვითარება 1921 წლის შემდეგ ე. ი. მას შემდეგ, როდესაც სამოქალაქო ომი გათავდა და მუშები და გლეხები შეუდგნენ მშვიდობიან შრომას.

ჩვენც სწორეთ ამ საკითხზე გადავდივართ.

განვიხილოთ, მართლა ეცემა თუ არა ჩვენი მრეწველობა 1921 წლის შემდეგ? მართალია თუ არა ნოე ჟორდანია, როდესაც ამაში არწმუნებს თავის მორწმუნე მრევლს?

ვნახოთ.

ავალაპარაკოთ ოფიციალური გამოქვეყნებული ციფრები ჩვენი მრეწველობის ზრდის შესახებ. თუ ომის წინად არსებულ დონეს მივიღებთ—100 პროც., მაშინ ეს ზრდა 1921 წლიდან პროცენტებში გამოიხატება ასე:

	ომის წინ.	1921—22 წ.	1922—23 წ.	1923—24 წ.	1924—25 წ.	პირველი ნახევარი.
	პროც.	პროც.	პროც.	პროც.	პროც.	
ქვანახშ. ამოღება	100	42	45,8	61,5	68,4	
ნავთის ამოღება	100	50,2	56,6	65,1	68,4	
ლითონის მრეწვ.	100	14,6	—	50	—	
რკინის მად. ამოღ.	100	2,7	6,4	13,4	22,8	
ელექტ.-ტეხ. მრეწვ.	100	—	—	62	—	
ქიმიური მრეწველ.	100	19,8	29,6	48,2	58,7	
ოქროს ამოღება	100	12	19	40	—	
საფეიქრო მრეწვ.	100	25,3	32,9	44,7	68,3	
ქაღალდის მრეწვ.	100	17	34,5	59,7	93,6	
ჭარხ.-შაქრის მრეწ.	100	5,1	20,1	38	41,3	
მთელი მრეწველ.	100	23,3	32,2	42,7	64,1	*)

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, რუსეთის მრეწველობა 1913 წლიდან 1921 წლამდის, ე. ი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამდის (მსოფლიო და სამოქალაქო ომი), საშინლად დაცემულა. ზოგიერთ დარგებში პროდუქციას ერთი-ორჯერ მოუკლია. ზოგიერთში კი გაცილებით მეტი. ასე, მაგალითად, რკინის მადნის ამოღება შემცირებულია 100 პროცენტიდან—2,7 პროცენტამდის, შაქრის—5,1 პროცენტამდის და სხვ. მთელი მრეწველობა კი შემცირებულია საშუალო რიცხვით—23,3 პროცენტამდის ე. ი. დაახლოვებით 5-ჯერ.

დამთავრდა სამოქალაქო ომი. მუშები გადავიდნენ მშვიდობიან შრომაზე. და აი ჩვენ ვხედავთ გასაოცარ ამბავს. მუშების გმირული ღონისძიებების წყალობით ჩვენმა მრეწველობამ სწრაფად იწყო ზრდა და რაღაც 2—3 წლის განმავლობაში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ, რომ თითქმის ყველა საწარმოვო დარგები გამოუკლებლივ დაადგნენ აღორძინების გზას. რუსეთის მრეწველობა სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა ომის წინათ არსებულ დონეს. ზოგიერთ დარგებში კი ამ დონესაც გადააჭარბა (სულ უკანასკნელი ცნობებით).

რომ უფრო სწორად იქნას სურათი, ამ ციფრებს დავუმატოთ კიდევ შემდეგი.

	1913 წ.	1921—22 წ.	1922—23	1923—24	1924—25	პირველი ნახევარი.
ბამბის დათესვა ათასი დესეტინა	780	52	146	455	561	
მოგროვილი ბამბა ათას ფუთ.	13.100	425	2,900	6,000	9,500	

საჭიროა თუ არა აქ კიდევ კომენტარიები? ნუ თუ აშკარა არ არის ყოველი ბრმისათვისაც კი წარმოების ზრდა საბჭოთა რესპუბლიკებში?

საქმე იმაშია, რომ ასეთი ბრმები მოიპოვებიან დღეს დედამიწის ზურგზე. ამის მაგალითს გვაძლევს საქართველოს თეთრგვარდიელების ბელადი ნოე ჟორდანია. მაგრამ ის განსხვავდება ჩვეულებრივი ბრმისაგან იმით, რომ განზრახ იბრმავებს თვალებს, განსხვავდება იმით, რომ მას არ სურს დაინახოს მისთვის მომაკვდინებელი სიმართლე, სიმართლე საბჭოთა წყობილების შესახებ, მრეწველობის შესახებ და სხვ. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ კიდევ მოვიყვანოთ რამოდენიმე ცნობები ჩვენი მრეწველობის განვითარების შესახებ.

ყოველთვიური წარმოება ზოგიერთ დარგებში უდრიდა*)

	ოქტ. 1922 წ.	ოქტ. 1923 წ.	ოქტ. 1924 წ.	მარტი 1925 წ.
ქვანახ. და ყურსნახშის (ანტრაც.) ამოღება ათას ტონ.	649	1.187	1.259	1477
ნავთის ამოღება	410	461	580	583 (აპ.)
რკინის მადნის ამოღება	19,4	54,4	130,8	150,9
თუჯის გადადნობა	17,7	43,8	74,3	108
ბამბარის ნართის დამზადება	6,4	8,2	14,8	14,8
ბამბარ. ქსოვ. დამზ. ათასი მეტ.	42,8	63,8	113,4	126,5
ქაღალ. დამზ. ათასი ტონ.	4,6	7,8	14,9	18,1

რას გვიჩვენებენ ეს ციფრები? იმას რომ ყოველთვიური წარმოება სხვადასხვა დარგებში შეუჩერებლივ იზრდება. ჩვენი საწარმოო დარგები სწრაფად უახლოვდებიან წინათ არსებულ პროდუქციას. როგორც ზემოთ მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, ჩვენმა მრეწველობამ საერთოდ უკვე მიაღწია დაახლოებით 65 პროც. ძველი პროდუქციისას. ეს კი სამი წლის განმავლობაში უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

ეხლა შევადაროთ დღევანდელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება ომის წინათ არსებულ პროდუქციის ღირებულებას. თუ ამ უკანასკნელს ჩავთვლით=100 პროც., მაშინ ჩვენი სამრეწველო პროდუქციის—ღირებულების ზრდა 1925 წ. შემდეგ პროცენტებში გამოიხატება ასე **).

1913 წ. — 100 პროც.
1921—22 წ. 23 „
1922—23 „ 31 „
1923—24 „ 40 „
1924—25 „ (70 პრ. პირ. ნახ.

ამრიგათ პროდუქციის ღირებულებას სამი წლის განმავლობაში მოუმატია დაახლოებით სამჯერ და მისულა 70 პროც.-მდის. ეს ღირებულება რა თქმა უნდა გაანგარიშებულია ძველ ოქროს მანეთებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მრეწველობის ზრდა უკანასკნელ ხანებში. მრეწველობის ზრდამ გადააჭარბა ყოველ წინასწარ გამომუშავებულ გეგმებს. მომავალ სამეურნეო წელში პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია დაახლოებით ორჯერ. მოვიყვანოთ სათანადო ციფრები *).

1. საწარმოვო საშუალებათა წარმოება.

პროდუქციის მომატების პროც.

	1924—25 წ. შედარებით 1923—24 წლ. თან	1925—26 წ. შედარებით 1924—25 წლ. თან
ქვანახშირის	0	43
ნავთის	12	19
რკინის მადნის	92	108
ლითონის	88	59
ელექტ.-ტეხნიკ.	64	73
2. მოხმარების საგნების წარმოება		
ბამბარის	102	36
მატყლის	80	7
ტყავის	46	30
ქაღალდის	73	23
შუშეულის	64	10

ეჭვი არ არის, რომ მომავალი სამეურნეო წლის განმავლობაში ჩვენი მსხვილი მრეწველობა არა თუ გაუსწორდება ომის წინათ არსებულ დონეს, არამედ კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაექანება წინ. აღსანიშნავია ის, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში უდიდესი ყურადღება ექცევა ელექტრიფიკაციის საქმეს. აშენდა და შენდება უზარმაზარი ელექტრო სადგურები, რომლებიც დიდათ გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას და გაიაფებენ საქონელს. ასე მაგალითად 1921 წ. გაიხსნა შატურის ელექტროსადგური, რომლის გენერატორების ძალა 5 ათას კილოვატს უდრის, 1922 წ.—კაშირის—12 ათასი კილ., 1923 წ.—წითელი ოქტომბრის 10 ათასი კილ., 1924 წ.—კიზელოვის—6 ათასი კილ., სულ ყველა 33 ათასი კილოვატით. ამ მოკლე ხანში დამთავრდება ნიჟეგოროდის, ვოლხოვის, შტეროვკის, ზემო-ავჭალის და სხვ. ელექტროსადგურების აშენება.

ელექტროფიკაციის საქმეს არასოდეს არ ექცეოდა ასეთი ყურადღება რუსეთში. ეხლა კი ის უდიდესი მნიშვნელობის საკითხადაა დასახული. და მართლაც სოციალისტური მრეწველობის გაშლა-გაფურჩქვნა შეუძლებელია ელექტროფიკაციის გარეშე. მისი საშუალებით შეიძლება საქონლის გაიაფება. ასე მაგალითად გამოანგარიშებულია, რომ ვოლხოვის ელექტროსადგური მისცემს ლენინგრადის მრეწველობას ელექტრონის ენერგიას დაახლოებით სამჯერ უფრო იაფათ. ეს კი უდიდესი მიღწევაა.

კმარა. საჭირო არ არის მკითხველის ყურადღების დაღალვა აუარებელი ციფრების და ცნობების მოყვანით. ვიტყვით მხოლოდ მოკლეთ, რომ საბჭოთა წყობილების „კრიტიკოსს" ნოე ჟორდანიას არ შეუძლია მოიყვანოს არც ერთი ცნობა, რომელიც ღაღადებდეს ჩვენი მრეწველობის დაცემაზე და განადგურებაზე 1921 წლის შემდეგ. მაშასადამე, მისი მტკიცება, რომ ბოლშევიკების წყალობით მსხვილი ინდუსტრია განაგრძობს დაცემასო, არის საშინელი ცილისწამება, სიმართლის არ დანახვა, ფაქტების უარყოფა. რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება მიექანება წინ, რომ საბჭოთა რესპუბლიკები თანდათან ღონიერდებიან,—ამაში დარწმუნებული არიან დღეს თითქმის ყველა ქვეყნების ცოტათ თუ ბევრათ სერიოზული, საქმიანი ბურჟუაზიული მწერლები. ისეთი მწერლუკა კი, როგორც ნოე ჟორდანია არის, კვლავ განაგრძობს ბურჟუაზიის ძველი ზღაპრების 1924 წ. განმეორებას. ადამიანის იდეური დაცემა და გათახსირება ამაზე შორს არ შეიძლება წავიდეს!

მაგრამ ნოე ჟორდანია ფარხმალს მაინც არ ყრის. ის კვლავ განაგრძობს თავის აბდა-უბდას. წარმოიდგინეთ, მას „ფაქტებიც" კი მოჰყავს თავისი დებულების დასამტკიცებლად. ნოე ჟორდანია მოგვითხრობს, რომ 1917 წ. რუსეთში ითვლებოდა 7 მილ. 300 ათასი მუშა. როგორც შემდეგი განმარტებიდან სჩანს, ამ რიცხვში შედიან არა მარტო სამრეწველო მუშები, არამედ სასოფლო-სამეურნეო მუშები, მოსამსახურეები და სხვა. ეხლა მუშაობს, გვარწმუნებს ნოე, ერთი მილიონი და ორასი ათასი მუშა. მაშასადამე, მუშათა კლასის რიცხვი 6—7-ჯერ შემცირებულა, ის გადასულა სხვა კლასებში. ასეთია დასკვნა ნოე ჟორდანიას სტატისტიკური ვარჯიშობისაგან.

როგორია ეს სტატისტიკა? ნოე ჟორდანია ადარებს ერთმანეთს 1924 წ. **სამრეწველო** (მარტო სამრეწველო) მუშებს, 1917 წ. ყველა კატეგორიების მუშათა რიცხვს (მოსამსახურეები, რკინისგზელები და სხვადასხვა). შედარებაც ასეთი უნდა! ვაშა ნოე ჟორდანიას ასეთი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის!

ჩვენი კრიტიკოსი ამით არ კმაყოფილდება. ის სულ მიწასთან ასწორებს საბჭოთა მსხვილ ინდუსტრიას. როგორც ის გვატყობინებს, ნამდვილათ სამრეწველო მუშების რიცხვი უდრის არა 1.200 ათას კაცს, არამედ გაცილებით ნაკლებს. ამ რიცხვს ის აკლებს რკინისგზაზე მომუშავე მუშებს (800 ათას კაცს) და ამრიგათ ღებულობს **400 ათასს სამრეწველო მუშებს დღევანდელ საბჭოთა რუსეთში.** რა თქმა უნდა ეს მცირე რიცხვია, რა თქმა უნდა მისი შედარებაც კი არ შეიძლება 1917 წ. 7 მილიონიან პროლეტარიატთან!

და აი ნოე ჟორდანია ზედმეტი კმაყოფილების და სიხარულისაგან ხტუნავს და ცეკვავს.

მან მიაღწია თავის მიზანს, მან მიწასთან გაასწორა, არარად აქცია საბჭოთა მსხვილი ინდუსტრია. რა თქმა უნდა, მართებს სიხარული და და აღფრთოვანება!

მაგრამ ერთი წუთით გავშინჯოთ ნოე ჟორდანიას სტატისტიკური ცნობები. უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია მარტო სამრეწველო მუშათა რიცხვის შედარება ყველა კატეგორიების მუშათა რიცხვთან. თუ ჩვენ მუშათა საერთო რიცხვს ავიღებთ, ის ეხლაც დაახლოებით შვიდ მილიონამდის ადის. მარტო პროფკავშირებში შეკავშირებული მუშების რიცხვი უდრიდა*)

1922 წელს 1 ოქტომბერს—4546 ათას კაცს.

1923 წელს 1 ოქტომბერს—5551 ათას კაცს.

1924 წელს 1 იანვარს—5621 ათას კაცს.

ნოე ჟორდანია დაგვეთანხმება, რომ ყველა მუშები პროფკავშირებში ჩაწერილი არ არიან; მაშასადამე, თუ მათ მივუმატებთ შეკავშირებულ მუშების რიცხვს, მაშინ საქმე არც ისე ცუდათ იქნება ბოლშევიკებისათვის, როგორც ეს წარმოუდგენია ნოე ჟორდანიას.

მაგრამ პირდაპირ სასაცილოა, როდესაც ჩვენი ჩინებული „კრიტიკოსი" სამრეწველო მუშების რიცხვს აკლებს რკინისგზელებს, თითქოს ეს უკანასკნელები ნაანგარიშევი იყოს მათ რიცხვში. მოვიყვანოთ ნამდვილი ცნობები რკინისგზელების და სამრეწველო მუშების შესახებ.*)

	1 იანვ. 1923 წ.	1 ივლ. 1923 წ.
სამრეწველო მუშების რიცხვი უდრიდა	1.542,3	1.688
რკინისგზელებ.	655,0	690

ამ ციფრებიდან სჩანს, რომ საბჭოთა სტატისტიკოსები ერთმანეთში არ ურევენ ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე მუშებს და რკინისგზელებს. ნ. ჟორდანიას არითმეტიკული ვარჯიშობა (გამოკლება) მხოლოდ ღიმილს იწვევს ჩვენში.

რაკი ნოე ჟორდანია დაინტერესებულია სამრეწველო მუშების რიცხვით ეხლა და უწინ, ჩვენ საამისო ცნობებიც მოგვეპოვება და შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მისი ცნობისმოყვარეობა. უფრო უმჯობესია ეს რიცხვი შევადაროთ არა 1917 წ., არამედ 1914 წ. რიცხვს.

ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე მუშების რიცხვი უდრიდა **).

1914 წ.—2700 ათას კაცს
1924 წ.—1627 „ „

აშკარავდება, რომ იმპერიალისტური და შემდეგ სამოქალაქო ომის ხანაში მუშათა რიცხვი მართლაც შემცირებულა, მაგრამ არა 400 ათასამდე, როგორც ეს გამოიკლია ნ. ჟორდანიამ: 1922 წ. სამრეწველო მუშათა რიცხვი უდრიდა 963.773 კაცს. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ეს რიცხვი თანდათან იზრდება და 1924 წ. აღწევს 1627 ათას კაცამდის, რაც შეადგენს 1914 წ. შეფარდებით 60 პროც.

ზევით ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ჩვენი მრეწველობა ვითარდება, რომ მან უკვე მიაღწია ძველი ნორმის 65 პროც. მუშების რიცხვის ზრდის

---

*) იხ. Дзержинский—Материалы к докладу о промышленности СССР на III съезде советов, Москва 1925 г.

*) Экономич. бюллетень конъюнктур. института за 1925 г. № 1 и 4.

**) იხ. ძერჟინსკის მოხსენება საბჭოთა მესამე ყრილობაზე.

**) „Правда" 1925 წ. № 156

*) იხ. Труд в СССР, статист.-экон. обзор, Москва, 1924 г., გვ. 246.

*) იქვე, გვ. 153

**) იქვე, გვ. 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

სას.-სამ. პროდუქტების დამზადება ამიერ-კავკასიაში

(ა. | კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მასალებიდან)

კვერცხები.

კვერცხების ბაზარი არ არის სათანადოდ გამოკვლეული და მათი დამზადება შეიძლება მხოლოდ დაახლოვებით იქნეს ნავარაუდევი. 1913 წელში მარტო საქართველოდან გატანილი იყო 43.000 კვერცხი. შარშან წარმოკავშირმა დაამზადა 85.000 მანეთის კვერცხები. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ცნობებს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე წელში დამზადებული იქნება: საქართველოში 4.000.000 კვერცხი და სომხეთში 2.000.000, სულ 120.000 მანეთის ღირებულებისა.

ყველი.

ყველი განზრახულია დამზადებული იქნეს საქართველოში (წარმოკავშირი) 5.000 ფუთი შვეიცარიული და 10.000 ფუთი თუშური, 200.000 მანეთის ღირებულებისა და სომხეთში—40.000 ფუთი შვეიცარული და 25.000 ფუთი თუშური—1.050.000 მან.

თევზი.

ითვალისწინებს რა წარსული წლის გამოცდილებას, შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი ფიქრობს, რომ მიმდინარე წელში შესაძლებელი იქნება დამზადდეს აზერბეიჯანში 300.000 ფუთი თევზი და 6.000 ფუთი ხიზილალა, რაც ეღირება 1.290.000 მანეთი და სოხუმში—10.000 ფუთი თევზი—50.000 მანეთის.

ტყავი.

ტყავს ამიერ-კავკასიაში ამზადებენ ადგილობრივი ტყავის ტრესტები; მათ მიერ დამზადებული ტყავი ხმარდება ტყავის სახელმწიფო ქარხნების საჭიროებებს. საექსპორტო ტყავი უმნიშვნელო რაოდენობით მზადდება უპირატესად აზერბეიჯანში.

თუ მხედველობაში მივიღებთ მიმდინარე წლის დამზადების კამპანიას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1925—26 წლის განმავლობაში დამზადებული იქნება საქართველოში 50.000 ფუთი, სომხეთში—20.000 ფუთი და აზერბეიჯანში—30.000 ფუთი (აქედან საექსპორტოდ 20.000 ფუთი).

ბეწვეული და ჯაგარი.

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამრეწველო ნედლეულის სამმართველოს ცნობებით, 1924—25 წლის განმავლობაში მთელს ამიერ-კავკასიაში დამზადებული იყო 223.043 მანეთის ბეწვეული და 215.872 მანეთის ჯაგარი.

მიმდინარე სეზონში კი ბეწვეულის დამზადება წარსულ წელთან შედარებით შემცირდება დაახლოებით 10 პროცენტით და ამდენათვე გაიზრდება ჯაგარის დამზადება.

საერთოდ, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი 1925—26 წლის განმავლობაში სახელმწიფო და კოოპერატიული აპარატის დახმარებით მთელს ამიერ-კავკასიაში დაამზადებს 64.949.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს; აქედან საქართველოში დამზადებული იქნება 28.303.000 მანეთის, აზერბეიჯანში—28.760.000 მან. და სომხეთში—8.886.000 მანეთის პროდუქტები, რისთვისაც საჭირო იქნება კრედიტები 14.036.000 მანეთის რაოდენობით; აქედან აზერბეიჯანისთვის—5.613.500 მანეთი, სომხეთისთვის—1.806.000 მან. და საქართველოსთვის—6.617.000 მანეთი.

მეცხენეობის განვითარება საქართველოში

მეცხენეობა წინეთ

მეცხენეობას საქართველოში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გარდა სასოფლო-სამეურნეო მუშაობისა, ცხენი უმეტეს რაიონებში, სადაც არ არის საურმე გზა, ერთად-ერთი საშუალებაა ურთიერთობის დასაჭერად და ტვირთების გადასაზიდავად (ხევსურეთი, ფშავეთი, სვანეთი და სხვა).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ევროპიულ რუსეთში საშუალოდ ერთ კვადრატიულ ვერსტზე მოდიოდა 6,8 ცხენი, 100 მცხოვრებზე კი—18,3, საქართველოში ერთ კვადრატიულ ვერსტზე—1,5 და 100 მცხოვრებზე—4,1 ცხენი,—უნდა ითქვას, რომ საქართველო მეტად ღარიბი იყო ცხენებით. ამას თუ დავუმატებთ ადგილობრივი გლეხური ცხენის დაბალ ღირსებას, უნდა დავასკვნათ, რომ მეცხენეობა საქართველოში მძიმე მდგომარეობას განიცდიდა.

მიუხედავად ცხენების მცირე რაოდენობისა, საქართველოში იყო განსაზღვრული რაიონები, სადაც საკმაოდ განვითარებული იყო მეცხენეობა (თუშეთი, სამეგრელო, ახალქალაქის მაზრა და სხვა).

იმპერიალისტურმა ომმა თავისი მრავალრიცხოვანი მობილიზაციებით, სიმშილობამ და სხვა არახელსაყრელმა პირობებმა იმდენად დააქვეითა საქართველოს მეცხენეობა, რომ 1923 წლისათვის ცხენების საერთო რაოდენობა მთელს საქართველოში უდრიდა 68,000 სულს. ამრიგად, 10 წლის განმავლობაში ცხენების რიცხვი შემცირდა 50 პროცენტით, მეცხენეობა კი, განსაკუთრებით ჯოგური, თითქმის გაქრა.

მეცხენეობის და ცხენების მოსაშენებელ პუნქტების უკანასკნელმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ თბილისის გუბერნიაში არსებულ 20 პუნქტიდან არ დარჩა არც ერთი; თბილისის თავლამ კი დაკარგა ყველა კვიცები.

მეცხენეობის განვითარების პერსპექტივები

ერთერთ დაბრკოლებათ, რომელიც ხელს უშლის მეცხენეობის განვითარებას, უნდა ჩაითვალოს ცნობების ნაკლებობა მის შესახებ. ამ ნაკლის გამოსასწორებლად განზრახულია ჩატარებული იქნეს მეცხენეობის გამოკვლევა.

ამას გარდა მეცხენეობის რაიონებში მოწყობილი იქნება საცდელი პუნქტები, რომლებშიაც მოთავსებული იქნება 10—20 ფაშატი ცხენი.

ადგილობრივი ცხენის გაუმჯობესების ყველაზე უფრო სერიოზულ იაფ და სწრაფ ფორმად აღიარებულია საგრილებელი პუნქტების მოწყობა ადგილებზე. ასეთი პუნქტები მოწყობილი იქნება 1925—26 წელში—25, 26—27 წელს—30, 27—28—40, 28—29—50 და 29—80—55.

ამას გარდა განზრახულია გამოფენების მოწყობა, რომელთა მიზანია, ერთის მხრივ ცხენების მოშენებისადმი ინტერესის გაძლიერება მოსახლეობაში, მეორეს მხრივ კი საშუალების მიცემა სპეციალისტებისათვის, რომ დაწვრილებით გაეცნონ ადგილობრივ მასალებს და შეამოწმონ ადგილობრივი ცხენების გაუმჯობესების მეთოდების სისწორე და მიზანშეწონილობა.

სამოსწავლო სეზონის დაწყების წინ

საბავშვო ბაღებსა და შრომის სკოლებში

საქართველოს პროფსაბჭო შეუთანხმდა განათლების განყოფილებას იმის შესახებ, რომ ბავშვები საბავშვო ბაღებში მიღებულ იქნენ უშუალოდ ადგილკომებიდან და კავშირის ცენტრალურ გამგეობებიდან.

პირველ რიგში საბავშვო ბაღებში მიიღებიან ფიზიკური შრომის კავშირის წევრთა შვილები.

ბავშვების ბაღებში მიღების შესახებ საბოლოო დასკვნას გამოიტანს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებული სპეციალური კომისია.

შრომის სკოლებში ბავშვების მიღება იწარმოებს 4 სარაიონო კომისიის მიერ, რომელიც იმავე წესით არის შედგენილი; ამასთანავე პირველ რიგში მიღებული იქნებიან კავშირის წევრთა შვილები.

გარდა არსებულ სკოლებისა, თბილისში მიმდინარე სამოსწავლო წელს გაიხსნება კიდევ შრომის 3 სკოლა სასწავლო ასაკს გადაცილებული ახალგაზრდებისათვის ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე.

ამ სკოლებში მიღებული იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ კავშირის წევრთა შვილები. მიღებას აწარმოებს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებული კომისია.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგა ქალაქის აღმასკომის პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო მხოლოდ ერთი საკითხი: მოხსენება 1925—26 წლის ბიუჯეტის განაწილების პროექტის და საგადასახადო გამოსაღებთა გეგმის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. გავაშელმა, რომელმაც დაახასიათა რა ბიუჯეტის გეგმა, განაცხადა, რომ ბიუჯეტს საფუძვლად უდევს ტერიტორიალური პრინციპი. თბილისის ბიუჯეტი შესდგება: ქალაქის, მაზრის და თემის ბიუჯეტებისგანო. თბილისის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი წელს ნავარაუდევია სულ 8 ნახ. მილიონი მანეთი. ამ ჯამში არ შედის კომუნალურ წარმოებათა შემოსავალი, რომელიც უნდა მოხმარდეს უმთავრესად ამავე მეურნეობათა აღდგენას და აღორძინებას. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი წელს გაადიდა „ზაჰეს“-მა, რომლის 1925—26 წლის ხარჯთაღრიცხვა უდრის 5.052 ათასს მანეთს. აქედან თბილისის აღმასკომს დასჭირდება „ზაჰესის“ საჭიროებისათვის 1 მილიონი მანეთის გაღება.

შემდეგ მომხსენებელი პლენუმს აცნობს ბიუჯეტის შემოსავლის მუხლებს, შემოსავლის განაწილებას თემებზე, მაზრაზე და ქალაქზე, დასასრულ ვრცლად ეხება საგადასახადო გამოსაღებთა და გასავლის განაწილების გეგმებს. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგაც პლენუმმა აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის განაწილების პროექტი და საგადასახადო გამოსაღებთა გეგმა მცირე ცვლილებით დაამტკიცა.

სხდომის დასასრულ ამხ. მელაძის წინადადების თანახმად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში პლენუმმა აირჩია იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ვარძიელი.

პლენუმის სხდომა 9 საათზე დასრულდა.

ამიერ-კავკასიის კბილის ექიმთა პირველ ყრილობისათვის

მხოლოდ საბჭოთა მედიცინამ გამოიყვანა კბილის ექიმის საქმე ნახევრათ მეცნიერების და ნახევრათ ხელობის არანორმალური მდგომარეობიდან და მიაკუთვნა მას შესაფერი ადგილი მედიცინის სხვა დისციპლინათა შორის.

ამჟამად ყველასათვის ცხადია ის დიდი როლი, რომელსაც თამაშობს კბილის ექიმობის დარგი მთელი ორგანიზმის დაავადების და ჯანმრთელობის დროს. განსაკუთრებით აღინიშნება მნიშვნელობა პირის ღრუს მდგომარეობისა მთელი რიგი მძიმე დაავადებათა თავიდან ასაცდენად (როგორიც არის, მაგ., ტუბერკულოზი). ამის გამო არა ცალკე კბილების ექიმობა, არამედ პირის ღრუს გაჯანსაღება დგას დღევანდელი დღის ლოზუნგათ ამ დარგში. აქეთ არის მიმართული მთელი ყურადღება. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობაში კბილის ექიმობის საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ დარგის ღონისძიებებს განაგებს რესპუბლიკის ფარგლებით ჯანსახკომის სპეციალური კბილის ექიმობის სექცია. ჩქარი ნაბიჯით ვითარდება საქმე. სათანადო დაწესებულებების ქსელი ყოველი წლობით შესამჩნევლათ ფართოვდება. საბჭოთა ხანამდე იყო მხოლოდ 3 სახელმწიფო კბილის კაბინეტი, ეხლა ჩვენ გვაქვს 72 სავარძელი, სადაც მუშაობს 100 ექიმი.

მეორე მხრით, მოხდა თვით კბილის ექიმობის შესწავლის რეორგანიზაცია. უწინდელი სკოლების მაგიერ დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზედ სპეციალური კათედრა კბილის ექიმობისა.

ზემოთ აღნიშნული შეერთებული ღონისძიებანი ჯანსახკომის და განათლების სახალხო კომისარიატისა, შეერთებული თვით მოსახლეობის ინტერესს, და აქტივობასთან, თავდებია, რომ კბილის ექიმობის დარგი მიიღებს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. საჭიროა მტკიცე მკაფიო გეგმა, პროგრამა და გზები საქმის განვითარებისა. ამას ჩვენ გვიჩვენებენ სათანადო თათბირები და ყრილობები კბილის ექიმობის მუშაკთა. ამ. | კავკასიის კბილის ექიმთა პირველი ყრილობა (გაიხსნება თბილისში დღეს, 15 სექტ. რომელიც წინანამორბედია საკავშირო ყრილობისა, შეიტანს ამაში თავის წვლილს.

ექიმი გოცირიძე.

პროცესი პარალელურად მიმდინარეობდა. თავის თავად იგულისხმება, რომ მომავალში ის კიდევ უფრო იმატებს.

მაგრამ მოითმინეთ! გვეუბნება ნოე ჟორდანია: თქვენ, ბოლშევიკებმა გაახრეთ მრეწველობა, შეამცირეთ მუშების რიცხვი და რაც მთავარია ეს—სამრეწველო ცენტრები გადააქციეთ მოხელეთა ცენტრებათ! ფაქტები! „ფაქტები“, რასაკვირველია, მოეპოვება ნოე ჟორდანიას. აი ისინი: 1912 წ. მოსკოვში მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა 164,000 კაცს. ეხლა კი—226,000 კაცს! დიდებულ „მეცნიერს“ დაავიწყდა ერთი გარემოება: 1912 წ. რუსეთის ცენტრი იყო პეტროგრადი და იქ იყო მოთავსებული ყველა ცენტრალური დაწესებულებები (სამინისტროები, ეკონომ. ორგანოები და სხვ.) თავისი მოსამსახურეებით. ეხლა საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრია მოსკოვი და რასაკვირველია იქ არის მოთავსებული ყველა ცენტრალური დაწესებულებები. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მოსამსახურეების რიცხვმა მოიმატა? ეს ყოველი ბალღისათვისაც კი გასაგებია! რომ ნოე ჟორდანიას მოეყვანა მოსამსახურეების რიცხვის ცვალებადობა პეტროგრადში უწინ და ეხლა, დაინახავდა, რომ იქ მოსამსახურეთა რიცხვი სათანადოთ შემცირებულა.

მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა	1923 წ. აპრილში *)
მოსკოვში	46,6 ათას კაცს
ლენინგრადში	17,7 „ „

ჩვენ არ ვიცით, საიდან მოიყვანა ნ. ჟორდანიამ ცნობები მოსამსახურეთა ორასი ათასიანი არმიის შესახებ მოსკოვში. ის არსად არ გვიჩვენებს თავისი ფაქტების წყაროებს. ყოველ შემთხვევაში ოფიციალური ცნობა, რომელიც ჩვენ მოგვყავს, დიდათ განსხვავდება ნ. ჟორდანიას ცნობებისაგან. ჩვენ მიერ მოყვანილ მოსამსახურეთა რიცხვიდან, მოსკოვში, ცენტრალურ ადმინისტრატიულ, ეკონომიურ, სავაჭრო და საკრედიტო ორგანოებში მუშაობდა 33 ათასი კაცი, ე. ი. დაახლოვებით ორი მესამედი მთელი რიცხვისა.

ნ. ჟორდანია ამის შემდეგ გადადის სამუშაო ხელფასზე. მისი აზრით მუშათა ეკონომიური მდგომარეობა, მათი სამუშაო ქირა თანდათან ეცემა საბჭოთა რესპუბლიკებში. ვნახოთ, მართალია თუ არა ეს ცნობა.

სამუშაო ქირა უდრიდა პროც. 1913 წ. შედარებით: *)

	1922-23 წ. 1-ლ კვარტ.	1923-4 წ. 1-ლ კვარტ.
მთელ მრეწველობაში საშუალო	42,0 პრ.	59,9 პრ.
მოსკოვში	62,7 პრ.	92,7 პრ.
ლენინ. გუბ.	54,2 პრ.	80,7 პრ.

ამრიგათ სამუშაო ქირა იზრდება მრეწველობის ზრდასთან ერთად. ამ ფაქტის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. მოსკოვში და ლენინგრადში სამუშაო ხელფასი დაუახლოვდა დაახლოვებით 93 პროც. და 81 პროც. 1913 შედარებით. ზოგიერთ საწარმოვო დარგებში ხელფასი აღემატება ომის წინათ არსებულ ნორმასაც (მაგ. მეტყავეების, ქიმიკოსების, პოლიგრაფ. მრეწველ. და სხვ.).

რეალური თვიური ხელფასი მანეთებში მოსკოვის ლითონზე მომუშავე მუშებისათვის უდრიდა **).

ოქტ. 1922 წ.—14,35 მან.
ოქტ. 1923 წ.—25,95 „
ოქტ. 1924 წ.—32,98 „

როგორც აქედან სჩანს, რეალური საშუალო ხელფასს მარტო ორი წლის განმავლობაში ორჯერ მოუმატნია. მაშასადამე არ არის მართალი, თითქოს მუშათა მდგომარეობა ცუდდებოდეს. ეს ზღაპარია საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრანტების გამოგონილი.

დასასრულ ნ. ჟორდანია მიგვითითებს იმაზე, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში საქონლის მოხმარება სულზე შემცირდაო. მას მოყავს საამისო „ციფრები“. რა თქმა უნდა, საქონლის მოხმარება შემცირდა, რადგან იმპერ. ომის და შემდეგ სამოქ. ომის ხანაში ბევრი სიმდიდრე განადგურდა. მაგრამ ნუ თუ არ იცის ნოე ჟორდანიამ, რომ ასეთ მოვლენას ადგილი აქვს თითქმის ყველა ევროპიულ ქვეყნებში? რომ დავარწმუნოთ ის ამაში, ამისათვის მოვიყვანთ ცნობებს „განათლებული“ გერმანიის შესახებ.

მოხმარება სულზე უდრიდა გერმანიაში;*)

		1914 წ.	1919 წ.
ლუდის ლიტრებში		67	48
სპირტის	„	5,1	1,9
შაქრის კილოგრ.		22,5	13,6
მარილის	„	20,8	20,6
თამბაქოს	„	1,5	—
ყავის	„	2,78	0,44

ნუ თუ აშკარა არ არის, რომ სულზე საქონლის მოხმარების დაცემა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების დამახასიათებელი არ არის? ნუ თუ არ იცის ნ. ჟორდანიამ, რომ ეს გამოწვეულია ყველა ქვეყნებში მუშათა სამუშაო ხელფასის დაცემით, გლეხკაცობის მდგომარეობის გაუარესებით და სხვა? ეს კი შედეგია იმპერიალისტური ომის. ამას ჰქონდა ადგილი რუსეთშიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ. ეს მდგომარეობაც შეიცვალა. მოხმარება სულზე საბჭოთა რესპუბლიკებშიაც თანდათან იზრდება სამუშაო ხელფასის ზრდის და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად.

ჩვენ გავათავეთ. როგორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ყველა ზემონათქვამიდან? ის დასკვნა, რომ ნ. ჟორდანია საშინლად სტყუის, როდესაც გაიძახის საბჭოთა მსხვილი ინდუსტრიის დაცემაზე, სამუშაო ხელფასის შემცირებაზე და სხვ. და სხვ. ამას ადგილი ჰქონდა 1921 წლამდის, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაგრამ ასეთი მდგომარეობა შეიცვალა სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ.

მსხვილი ინდუსტრია არსებობს და საარაკო სისწრაფით მიექანება წინ. ამის უარყოფა დღეს არავის არ შეუძლია. მრეწველობა იზრდება სწორედ საბჭოების ხელმძღვანელობით და როდესაც ნ. ჟორდანია ლაპარაკობს მსხვილი მრეწველობის და საბჭოთა წყობილების „შეუთავსებლობაზე“, ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა.

პირიქით, მსხვილი ინდუსტრია საბჭოთა წყობილების საფუძველია. უმისოთ ამ წყობილებას არსებობა წარმოუდგენელია. დღევანდელი მსხვილი ინდუსტრია სახელმწიფოს ხელშია; ის წარმოადგენს სოციალისტურ ინდუსტრიას. რამდენადაც იზრდება ის, იმდენად იზრდება საფუძველი ახალი სოციალისტური საზოგადოებისა. რამდენადაც სწრაფად ვითარდება ის, იმდენად სწრაფად მივექანებით ჩვენ მომავალი საზოგადოებისაკენ. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რომელიც დღეს ყველა სკოლის მოწაფემაც კი იცის.

ნ. ჟორდანიამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია მრეწველობის საკითხს, მან აღიარა მისი დაცემა. მისი მიზანი აშკარა იყო. მას უნდოდა გამოეყვანა აქედან „მარქსისტული“ დასკვნა, რომ საბჭოთა წყობილება ადრე თუ გვიან დაემხობა. ჩვენ ეხლა უკვე ვიცით, რომ ჩვენი მრეწველობა აყვავების პერიოდს განიცდის. მაშასადამე, ყველა ის დასკვნები, რომელიც ნ. ჟორდანიამ გააკეთა თავისი „ეკონომიური ანალიზიდან“, ყალბია და მოკლებული ყოველგვარ საფუძველს.

წინა წერილიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ჟორდანიას აზრით, რუსეთში მარტო წვრილი წარმოება დარჩა. ეხლა ჩვენ დავინახეთ, რომ იქ მსხვილი ინდუსტრიაც არსებობს და იზრდება. მაშასადამე ის სურათი, რომელიც ლენინმა დახატა 1918 წ., ის საწარმოვო ტიპები, რომელიც მან ჩამოთვალა თავის პატარა წიგნაკში, დღესაც არსებობენ. არსებობს სოციალისტური მრეწველობა (მსხვილი), სახელმწიფო კაპიტალიზმი (კონცესიები, იჯარით გაცემული ფაბრიკა-ქარხნები და სხვ.), კერძო კაპიტალიზმი (პატარა ფაბრიკა-ქარხნები მუშათა მცირეოდენი რიცხვით) და სხვა.

ნ. ჟორდანიამ ვერ შესძლო ლენინის მიერ წამოყენებული დებულების დარღვევა. ის შეეცადა „ფაქტების“ მოყვანას, ისტორიული ანალოგიების გაკეთებას, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოუვიდა. მან ვერ მიაღწია თავის მიზანს.

ეხლა თავი გავანებოთ მრეწველობის საკითხს, სადაც თანამედროვე დონ-კიხოტმა ნ. ჟორდანიამ განიცადა ასეთი სამარცხვინო მარცხი და გადავიდეთ სხვა საკითხებზე, რომლებსაც ის სვამს თავის „მეცნიერულ“ ნაშრომში.

(შემდეგი იქნება)

კ. ორაგველიძე.

---

*) Труд в СССР გვ. 162.

*) იქვე, გვ. 130

**) Эконом. бюл. кон'юнкт. инст. № 1 за 1925 г.

*) იხ. პერვუშინის—Хозяйст. кон'юнктура, გვ. 312.

მუშათა ცხოვრება

ერთი მუშის პირ-ვარამი

— პეტრე, რად გამოიყურები ეგრე დასუსტებული?

—ეჰ, ჩემო კარგო! დღისით ამ ვერანა სახალავის გვერდზე მუშაობა მხარშავს მასტერსკში. ამას გავათავებ და ჯერ სადილად არ წასულვარ, რომ პატარა სული მოვიბრუნო, უკვე საერთო კრებაზე მეძახიან. მშიერ-მწყურვალი და მოქანცული მივეჩქარები კრებაზე. დავჯდები და ამ ვერან ჩაკეტილ ოთახში ვიხარშები.

მოვალ შინ. აქაც თითქმის არაფერი მაქვს საჭმელი და კიდეც რომ მოებრუნებინა რამე საღოდავ დედაკაცს, მოქანცულს, მადაც დაკარგული მაქვს და ვერაფერსა ვჭამ; მივეგდები დასასვენებლად... დამეხვევიან ბაღლინჯოები და არ მასვენებენ და თეთრი თვალით ვათენებ ხოლმე.

ან სიცოცხლე სად მექნება და ან ხალისი, ჩემო კარგო!

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

ასეთი მასწავლებელი ჩვენ არ გამოგვადგება

ბევრი რამ ესაჭიროება ჩვენ სკოლას, მაგრამ ერთი რამ აუტანელია—რომ ერთგვარი სენით შეპყრობილი ადამიანი სკოლის სათავეში იდგეს. ასეთია მე-9—შრ. სკოლის გამგე, ნებიერიძის ქალი. მას არა აქვს პედაგოგიური მომზადება, რომ გაუძღვეს საშუალო სასწავლებელს. გაკვეთილის მიცემა არ შეუძლია უფროს ჯგუფში, რადგანაც არც ერთი საგანი არ იცის. არც უსწავლია კლასებში არასოდეს, მასწავლობდა ეპარქიალურ სასწავლებელში დაწყებლად. ასეთ ნაკლს ურთვის მისი აუტანელი ხასიათი: არ არის ისეთი ადამიანი, რომელსაც საქმე ჰქონია მასთან და ის არ წაჰკიდებოდეს. თითქმის ყოველ დღე ეჩხუბება და უყვირის მასწავლებლებს და დარაჯებს.

მოუვა ჟინი, რაღაცა არ მოეწონება და დაიწყებს ლანძღვას. განა დასაშვებია, რომ ასეთი ადამიანი პედაგოგიურ ასპარეზზე მოქმედებდეს?

ვინმე მახლობელი.

ნუ თუ ეს წესრიგია?

(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

5 სექტემბერს მატარებელი № 72-ით გამოვგზავნეთ სადგურ სურამიდან ორი ოჯახის ბარგი (სასურსათო ბილეთით ქვითარი № 1030—31). ზედმეტი წონის ფული შევიტანეთ სალაროში, შესაფერისი ქვითარიც მივიღეთ, მხოლოდ სადგურის ამწონავმა კიდევ დამატებითი გადაგვახდევინა ადგილობრივი მუშის და აღმასკომის ფული. უკანასკნელს არავითარი ქვითარი არ მოუცია. ჩვენს შეკითხვაზე: „მოგვეცემა თუ არა ჩვენ ქვითარი გადახდილ ფულზე“ გვიპასუხა: ჯერ „კანტორშჩიკი“ არ მოსულა, რომ ქვითარი ამოწეროსო. მატარებელი დაიტვირთა, ბარგიც გაიგზავნა და „კანტორშჩიკი“ კი არსად სჩანდა. ამნაირად გადახდილ ფულზე შესაფერისი საბუთი ვერ მივიღეთ.

ნეტავ ვის ჯიბეში მიდის უკანასკნელი მუშის კაპეიკები!?

თვით სადგურ თბილისში, გამოგზავნილ ბარგის მიღების დროს საშინელ წამებას იგემებს მგზავრი. მიხვალ საბარგო განყოფილებაში, გგონია ბარგს მიიღებ, გგზავნიან საბარგო სალაროში.

რისთვის?—აღმასკომის ფულია შესატანი. დაბრუნდები საბარგო განყოფილებიდან, აქ კიდევ მუშის ფულს გახდევინებენ, ტვირთი კი არ იწერება. ყველაფერი კარგი, მაგრამ აღმასკომს რა ესაქმება რკინის გზასთან.

ყველა გაკვირვებაში მოყავს ასეთ გადასახადებს.

აი როგორ „სარგებლობენ შეღავათით“ მოსამსახურეები.

ბარგის გამოგზავნა ღირს უფრო ნაკლები, ვიდრე მისი მიღება.

მუშკორი გუგუშა.

ასეთი მუშაობით კოოპერაცია წინ ვერ წავა

თბილისის კოოპერატივთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია კავკასიის წითელდროშოვან არმიის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებას, ე. წ. „ზოპც კ. კ. ა.“-ს, როგორც თბილისში, ისე პროვინციებში მრავლად აქვს მაღაზიები გახსნილი. ამ კოოპერატივს ჰყავს გამგეობა თავისი შტატით; სარევიზიო კომისია და ყველა მაღაზიაში სადუქნო კომისია. მაგრამ, მიუხედავად ასეთ შტატებისა, სამწუხაროდ, მაღაზიებში მაინც ვერ არის საქმე სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. მაღაზიას თუ საქონელი გამოელია, საწყობიდან სამი, ოთხი, ზან ხუთი დღით ვერ იღებს ახალს. ახლად მიღებულ საქონელს თითქმის ამდენივე ხანი სჭირდება შეფასებას. ამ დროს მაღაზია ან უსაქმოდ არის ან და არის საქონელი, მაგრამ შეუფასებელი არ არის, რაიც მომხმარებლებში აღშფოთებას იწვევს.

მასთან მაღაზიებში შემჩნეულია ფასების სხვადასხვაობა. მაგალითად, სოლოლაკის ქუჩაზე № 3 მაღაზიაში კაკაო „ზოლოტოი იარლიკი“ 1 გირვანქა იყიდება 3 მან. 90 კაპეიკად. მაღაზია № 1-ში კი 4 მანეთად და სხ.

რაშია საქმე?!

მუშა კოოპერატორი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— მცირე შტატის გამო მუშაობა ფერხდება. ფ.-ტელეგრაფის ხიდისთავის (გურია) განყოფილებაში მსახურობს მხოლოდ ორი კაცი: გამგე და ერთი ფოსტალიონი, რომელნიც ფრიად დატვირთულნი არიან სამუშაოთი. ფოსტალიონს უხდება 20 ვერსის მანძილზე წერილების და ამანათების დარიგება, ამიტომ აგვიანდებათ წერილების დროზე მიტანება. ორივეს უხდებათ მუშაობა კვირა-უქმე დღეებში, მაინც ვერ ასწრებენ.

საჭიროა ერთი კაცის მომატება.

მუშკორი ს. ხიდისთაველი.

— შოფერების თავხედობას ბოლო უნდა მოეღოთ. თუმცა უკვე არსებობს ავტომობილების ქალაქში სიარულის წესი, მაგრამ თავხედი შოფერები ამას მაინც ანგარიშს არ უწევენ და ელვის სისწრაფით დააფრენენ ავტომობილებს ქუჩებზე, რასაც უბედურ შემთხვევები თან დასდევს. 4 სექტემბერს ამხ. კალინინის სახ. მოედანზე ავტომობილი № 516 დაეჯახა 10 წლის ობოლ ბავშვს, რომელიც საშინლად დაზიანდა. ასეთი მაგალითები ბევრია.

როდის ასწავლით ჭკუას ამ ხალხს?!

მუშა სიონელი.

— ღამით ამ ქუჩით არ გაგვევლება. გიორგიევის ქუჩაზე საღამოობით თავს იყრიან ზნეობით დაცემული, გარყვნილი ავარები და როსკიპი ქალები, რომელნიც ქუჩის მყუდროებას არღვევენ, იგინებიან უკანასკნელ სიტყვებით და გამვლელ პატიოსან მოქალაქეთ ქვებითაც უმასპინძლდებიან.

მილიცია, ალაგმე ეს ავარები!

ვინმე გამვლელი.

— [illegible] შრომის დისციპლინა. ოლქის სასამართლოს თანამშრომლები სამსახურზე დაგვიანებით ცხადდებიან; ზოგ მათგანს ნახევარი საათიც აგვიანდება. ოლქის სასამართლოში აუარებელი საქმეებია, ამიტომ საქმეების დროზე გარჩევას ვერ ახერხებენ.

აღადგინეთ იქ შრომის დისციპლინა!

დაიხი.

— იქ შტატი უნდა გაადიდოთ. ოლქის სასამართლო დატვირთულია უამრავი საქმეებით. არსებული შტატი ძალიან მცირეა და ვერ აუდის ამ სამუშაოს. შტატი აუცილებლად უნდა გადიდეს საკასაციო განყოფილებაში მაინც.

ისა.

— მოარჯულეთ ეს უხეში ექიმი. დამზღვევ სალაროში მუშაობს ექიმი კონტროლიორი მოქ. შახნაზაროვა. ამ შახნაზაროვს ავადმყოფის გამო მივმართე 9 სექტემბერს, მაგრამ მან არც კი მომისმინა, დამიწყო ყვირილი და გინება და ოთახიდან გამაგდო.

ასეთი ექიმი მუშებს არ გამოადგება.

მუშა ვ. ხაგარიშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **შტატის გადიდება.** სად. ქუთაისის საწარმოო თათბირმა მიმართა ადმინისტრაციას, რომ გაადიდოს შტატი მეისრეებისა და მატარებლების გადამმოწმებლებისა ქუთაისის შტოზე.

— **ორთქლის ქვაბი.** სადგურ შორაპნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიმართა სალიანდაგო სამსახურს, რათა მან შორაპნის მუშათა აბანოში დასდგას ორთქლის ქვაბი.

— **საპონი მემანქანეებს.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა მიმართა წევის დარგის სამსახურს, მისცეს მემანქანეებს და ზეინკლებს თითო გირვანქა საპონი ყოველ თვეში.

ზედმეტ მუშაობის აღმოსაფხვრელად. ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ადგილკომმა მიმართა ადმინისტრაციას, რათა შვებულებაში წასული პირების ნაცვლად დანიშნოს დროებით მომუშავეები და ზედმეტი მუშაობით არ დატვირთოს დარჩენილი მომუშავენი.

ბოროტმოქმედება ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოში

თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილებამ მოახდინა თბილისის ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს მუშაობის რევიზია, რომელიც გაგრძელდა 8 მაისიდან 7 სექტემბრამდე.

რევიზიამ აღმოაჩინა „ე.მ.ს.“-ის აპარატის სრული არეულ-დარეულობა და მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი, სახელდობრ ავანსების უთავბოლოდ გაცემა, ადმინისტრატიულ პირების მიერ ფულების მითვისება-გაფლანგვა და სხვა მრავალი.

მაგალითად: სამმართველოს მთავარ მოლარეს ბაქრაძეს გაუფლანგავს და მიუთვისებია—9.412 მან. და 51 კაპ.

სამმართველოს მთავარ ბუღალტერს—ქავთარაძეს გაუფლანგავს და მიუთვისებია—2.681 მ.—72 კაპ.

მთავარ ბუღალტერის თანაშემწე—გრიშაშვილს მიუთვისებია 1.004 მან. 50 კაპ.

სამმართველოს მატერიალური განყოფილების უფროსს მელიავას სამეურნეო საჭიროებისათვის მიღებულ ავანსებიდან გაუფლანგავს—7.549 მ. 75 კ.

მე-5 და მე-6 ელსადგურების სახელოსნოს გამგეს ჩერნიშს გაუფლანგავს—628 მ. 64 კ.

„ელმაშტრესტ“-ის მმართველს დოგუნოვს „ე. მ. ს“-იდან მიღებული ფული—3.963 მან. 69 კაპ.—თავის სალაროში შეტანის მაგიერ მიუთვისებია.

ამგვარად რევიზიის მასალების მიხედვით „ე. მ. ს“-ში გაფლანგულია სულ—21.227 მან. 42 კაპ.

ზემოაღნიშნულის გამო, დაპატიმრებული იქნენ: „ე. მ. ს“-ის მთავარი ბუღალტერი ქავთარაძე, მისი თანაშემწე გრიშაშვილი, მთავარი მოლარე—ბაქრაძე, მატერიალურ განყოფილების გამგე—მელიავა, მე-5 და მე-6 სადგურების სახელოსნოს გამგე—ჩერნიში და „ელმაშტრესტ“-ის მმართველი დოგუნოვი, რომელთა საქმე გადაეცა პროკურატურას.

ამასთანავე სამსახურიდან მოხსნილი არიან სამმართველოს საქმეთა მმართველი ჭიპაძე და მოანგარიშე ნიჟარაძე.

რაც შეეხება სამმართველოს უფროსს აფანასიევს, ისიც მიცემულია პასუხისგებაში და საქმე გადაცემული აქვს საქ. ც. პ. საკონტროლო კომისიას.

ქრონიკა

— **უმუშევართ მსახიობთა დახმარება.** თბილისის დამზღვევ კასამ გადაწყვიტა დაამუშაოს უმუშევარ მსახიობთა დაზღვევის საკითხი.

— **სახელმძღვანელოების გამოფენა.** დღეს, 15 სექტ. განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება სახელმძღვანელოების გამოფენა.

— **ბამბის ნათესების დაზღვევა.** ბამბის ნათესების დასაზღვევად მთელ საქართველოში მებამბეებმა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში მიმდინარე წელში შეიტანეს 18,555 მანეთი.

— **გლეხკომების რიცხვი.** მთელ საქართველოში ამჟამად ირიცხება 1,890 გლეხკომი, აქედან 15 სამაზრო, 41 სარაიონო, 327 სათემო და დანარჩენი—სასოფლო.

— **კედლის გაზეთების** სრ. საკავშირო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილება აგროვებს კედლის გაზეთებს სამხედრო ნაწილებიდან.

— **სასოფლო სამეურნეო ბანკმა** გადასწყვიტა მომავალ წელში მეღორეობის განსავითარებლად გასცეს 20 ათასი მანეთი მიზნობრივი სესხი.

— **შინამრეწველობა.** მიწად-მოქ. კომისარიატმა გორში მოაწყო შინამრეწველობის სახელოსნო, სადაც მუშაობს 20 კაცი.

— **დახმარება უმუშევრებს.** საქართველოს დამზღვევი სალაროები ამჟამად ფულად დახმარებას აძლევენ 3.823 უმუშევარს.

— **ჯიშიანი ცხენები.** მიწად-მოქ. კომისარიატმა რუსეთიდან მიიღო 2 ჯიშიანი ფაშატი კვიცები.

— **დაზღვევი ფულის გამფლანგველი.** თბ. დამზღვევ კასამ დაადგინა გამოიწვიოს პროფკავშირების საშუალებით საქმის გამოსარკვევად, ის დაზღვეულები, რომლებმაც მიიღეს კურორტებზე წასასვლელად ფული, მაგრამ არ წავიდნენ, ან დროზე ადრე დაბრუნდნენ.

— **უმიწაწყლო გლეხების გადასახლება.** თბ. აღმასკომმა მოიწონა სპეციალურ კომისიის მიერ მიღებული ზომები კოჯორიდან უმიწაწყლო გლეხების სალორისზე და ქოროღლიზე გადასახლების შესახებ.

— **სტენოგრაფიული ბიურო.** თბ. აღმასკომმა დაადგინა აღმასკომთან დაარსოს სტენოგრაფიული ბიურო.

— **სოფ. იკვლივ-გორაკი** თბ. აღმასკომის დადგენილებით მიწერილი იქნა გომბორის თემზე.

— **შტატის გადიდება.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა მიმართა ამკავკ. რკინის გზეთა სამმართველოს გაადიდოს შტატი ხაზის დარაჯებისა ზაკურიანის შტოზე.

— **კავშირი იზრდება.** ამ | კავ. რკინისგზელთა პროფკავშირმა აგვისტოს განმავლობაში ხაშურის საუბნო პროფკავშირთა წევრებად დაამტკიცა 77 კაცი.

— **მე-2 ტერიტორიალურ დივ.** ნაწილებისათვის ცხენების შესანახად თბ. აღმასკომმა გადასდო 6.500 მ.

— **სპეცტანისამოსი.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, იმ სტუდენტებს, რომლებიც ორ კვირაზე მეტს მუშაობენ პრაქტიკაზე, უნდა მიეცეს სპეცტანისამოსი.

— **სამხედრო პოლიტიკურ სკოლას** დახმარების სახით თბილისის აღმასკომმა დამატებით გადასცა 200 მან.

— **დოღი.** მიწად.-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილება ბაქოში შემოდგომის დოღში მონაწილეობის მისაღებად გზავნის 12 ჯიშიან ცხენს.

— **უმუშევრობის წინააღმდეგ.** შრომის კომისარიატის მიერ ქუთაისში მოწყობილ შრომის კოლექტივებში ამჟამად ითვლება 105 უმუშევარი.

— **საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის ქართულ საანგარიშო მეცნიერებათა კურსებზე** თხოვნების მიღების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 20 ენკენისთვე ლექციების კითხვა დაიწყება 25 ენკენისთვიდან. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება კულტგანყოფილებაში, მუშათა სასახლე, 4 სართული, ოთახი № 78. იქვე წარდგენილ უნდა იქნას ზემოაღნიშნულ ვადამდე თხოვნებიც.

ხელოვნება

ლექტორ ნაზარიანის საღამო

უდავოა, რომ საზოგადოების ფართო მასები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეზიარენ კულტურას ფართო მასშტაბით, კერძოთ სიმფონიურ კონცერტებს რომელთა შემწეობით მუშათა მასები ეცნობიან და უახლოვდებიან მუსიკას საუკეთესო ფორმას.

მაგრამ მუშათა ფართო მასებს ერთბაშად არ შეუძლიათ შეითვისონ და გაიგონ ხელოვნების ეს დარგი. აუდიტორიის მეტი ნაწილისათვის სიმფონიური მუსიკა უცნობია და ამიტომ უნდა მივესალმოთ იმ გარემოებას, რომ წელს კონცერტების პროგრამას წინ უძღვის განმარტება. ამ განყოფილებას სათავეში უდგას გურგენ ნაზარიანი და უნდა ითქვას, რომ ნაზარიანი საკმაოდ კარგად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

იყო დეფექტები, როცა ნაზარიანი სავსებით სწორად ვერ იძლეოდა პროგრამის ზოგიერთ ნომრების განმარტებას, მაგრამ მისი ნაკლი მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ განმარტება ძალიან ვრცელი იყო და ზოგჯერ ისეთი ხასიათის, რომელსაც უშუალო კავშირი არ ჰქონდა კონცერტის პროგრამასთან და მიუწვდომელი იყო თავისი შინაარსით აუდიტორიის დიდი ნაწილისათვის.

კონცერტის პროგრამას შეადგენდა: რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიები და ჩაიკოვსკის „იტალიური კაპრიჩიო“.

კონცერტზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სახელმწიფო ოპერის მსახიობ ვენაძის მონაწილეობა. მომღერალის ხმა დასვენების გამო საუცხოოდ ჟღერდა. მაგრამ არ შეიძლება არ უსაყვედუროთ ახალგაზრდა მსახიობს რეპერტუარის ერთფეროვნება.

რობერტის არიას ჩაიკოვსკის ოპერიდან მსახიობი ასრულებს თითქმის ყოველი გამოსვლის დროს. ის არიას კარგად ასრულებს, მაგრამ სასურველია მომღერალმა მოგვცეს ვოკალური ლიტერატურის სხვა სახეებიც, რამოდენიმედ განაახლოს შთაბეჭდილება.

ძალიან კარგად და მუსიკალურად შეასრულა მთელი რიგი ნაწარმოებები ონწელის ლიტერატურიდან ვიოლინოზე დამკვრელმა მალუნცევმა, რომელმაც ეხლახან დაამთავრა სახელმწიფო კონსერვატორია.

ვ. ნ.

— **მიმდინარე 1925—26 წლ. სეზონში.** საჭიროა სახელმწიფო დრამაში მუდმივი თანამშრომლები, რომლებსაც მიეცემათ ჯამაგირები. განცხადებები მიიღება თეატრის კანტორაში დილის 9 ს.—2 საათამდე.

— დღეს საღამოს 8 ნახ. საათზე, ვანო სარაჯიშვილის სახელობის ბაღში შესდგება ამხ. ნ. სტრელეცკის ლექცია: „ვულკანი და მიწის ძვრა“.

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 7 სექტემბერს, კომუნალური ქუჩის ახლოს მეთევზეებმა მტკვარში იპოვეს უცნობი კაცის გვამი.

— **ყოფილ თამამშევის წისქვილებთან,** 7 სექტემბერს აღმოჩენილ იქნა უცნობის გვამი.

— **მკვლელობის განზრახვა.** 12 სექტ. სოფ. არჯევან-სარვანისი მოქ. არიჩევოღლის მინდორში მუშაობის დროს თავს დაესხნენ მოკვლის განზრახვით მისადული-ჯუღ-ოღლი და ნასიმ იზმაილ ოღლი, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. ამჟამად ბოროტგამზრახველნი მიმალულნი არიან.

— **ურმიდან გადმოვარდნა.** 4 სექტ. დღით სოფ. სართიჭალაში მიმავალი ურმიდან გადმოვარდა 3 წლის ბავშვი ნინა ჩიკვილაძე და დაშავდა.

— **მილიციონერის გაძარცვა.** 11 სექტ. სოფ. სოღანლუღიდან მომავალ თელეთის თემის მილიციონერს ლადოევს ძმებმა ასან სიონ ოღლიმ და ყარამან ალი სიონ ოღლიმ წაართვეს რევოლვერი და თოფი და მიიმალნენ.

— **გაუპატიურების განზრახვა.** 10 სექტ. ღამით სოფ. როზენფელდში ანეტა ნონემახერის სახლში (ქმარის შინ არ ყოფნის დროს) შემთხვევით ღიათ დარჩენილ კარებიდან შეიპარა ანაზა მაიერი და მოინდომა აღნიშნულ ანეტას გაუპატიურება მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა ქალის წინააღმდეგობის გაწევის გამო, რის შემდეგ მიიმალა. დამნაშავე მეორე დღეს შეიპყრეს.

— **ქურდი მოსამსახურე.** 12 სექტ. კალოუბნის ქ. № 7 ოლღა ხუხუნაშვილს მოუპარეს მაგიდის ოქროს საათი. ეჭვით შეიპყრეს მისი მოსამსახურე ქალი მარუსია ღირღალაძე.

— **ქურდობა.** 12 სექტ. დღით ივლაბრის ქ. № 35 გაქურდეს აკაკი გიორგაძის ბინა, მისი სახლში არ ყოფნის დროს.

— **ქურდი შვილი.** 12 სექტ. გორის ქ. № 20 გაქურდეს ევგენი სტურიანოვის ბინა. ქურდობა მოუწყვია მისივე შვილს ვასილ ყორღანოვს რომელიც მიმალულია.

— ამავე დღეს პლეხანოვის პრ. № 131 გაქურდეს ტატოიანის ბინა. დაზარალებულის თბილისში არ ყოფნის გამო, წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლად

ძმები შანიძეები სოფ. ქვაყუდიდან

ხალხური თქმულებაა, „მგლის თავზე სახარებას კითხულობდენ, ის ხინც ტყისკენ იყურებოდაო“. ასე მოსდის ზოგიერთ სოფლის მუშაკებს. რამდენი დაიწერა და ითქვა, რომ საჭიროა ძირბუდიანად აღმოიფხვრას ბრძანებლობის, ადმინისტრატიულ ტერორის და დაშინების სოფლად მუშაობაში, მაგრამ სამწუხაროდ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებსაც პარტიის და ხელისუფლების ეს დღევანდელი ხაზი ვერ შეუთვისებიათ და შეუგნიათ.

ყველაზე უფრო საგულისხმო ისაა, რომ ასეთ ჯგუფის ხალხს ზოგჯერ სოფლის ინტელიგენციაც ეკუთვნის. რომელსაც თითქოს ყველაზე ადრე უნდა აეღო ალღო ახალ გზისათვის და აქტიური მონაწილეობა მიეღო სოფლად მუშაობას სადღეისო ამოცანებთან შეფარდებით ხელმძღვანელობაში.

აი ერთი „მოურჯულებელ“ სოფლის ინტელიგენტის მაგალითი.

6 სექტემბერს ქვაყუდეში (ქუთ. მ.) მოწვეული იყო საზოგადო კრება. თავმჯდომარემ დაიგვიანა. ტრიბუნაზე შეიჭრა ადგილობრივი მასწავლებელი, პარტიის კანდიდატი ლასა შანიძე. ასვლისთანავე მან გამოსძახა გლეხებს: „არ დაიძრათ ადგილიდან, თორემ ყველას პასუხისგებაში მიგცემთო“.

გლეხები შეკრთენ. შეიქნა ჩურჩული: „ღმერთი არ გაგიწყრეს, ვისმე რამე არ წამოგცდეს, თორემ ყველას დაგვიჭერსო“ ჩაულაპარაკა ერთმა დამსწრეთაგანმა მეორეს. მე და ჩემი ამხანაგი ვეკითხებით: „რამ შეგაშინათ, ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არაა, ვის შეუძლია სიტყვის თავისუფლება წაგვართვასო“.

მაშინ ერთ გლეხმა გვიპასუხა, რომ ამის წინად ორიოდე ლასას არ მოსაწონი სიტყვა დამცდა კრებაზე და ის ოქმს მიყენებდაო.

ამასობაში ერთმა დამსწრეთაგანმა წინადადება შეიტანა, რომ სოფლის ყრილობას აერჩია გლეხკორი. თუმცა გლეხკორის სოფლის ყრილობაზე არჩევა სავალდებულო არაა, მაგრამ მასწავლებელ შანიძემ მკვახედ განაცხადა: „რის გლეხკორი, რა გლეხკორი. თუ რაიმე უკანონობა ხდება სოფელში, მე აქ არა ვარო?“

მაგრამ ლასა შანიძეს არც მისი ძმა, პარტიის წევრი, გიორგი ჩამორჩება. ამას წინად ერთ გლეხს გარდაეცვალა დედა. მას უნდოდა დედის ეკლესიის ეზოში დასაფლავება. გიორგიმ მედიდური უარით გაისტუმრა მორწმუნე გლეხი. ის დღესაც უკმაყოფილოა ასეთი მოპყრობით და ყველას შესჩივის: „გიორგიმ დედა დაუკურთხებელ მიწაში გადამიგდოო“.

ამავე სოფელში დაკეტილი იყო ეკლესია. ძველ მიცვალებულის გვირგვინები, რომელიც ეკლესიაში ინახებოდა, ჩააბარეს ეკლესიის სხვა ქონებასთან ერთად გ. შანიძეს, მან ხელი მიჰყო გვირგვინებით ვაჭრობას. რა ბედი ეწვია აქედან შემოსულ ფულს, არავინ იცის.

ასეთია ძმებ შანიძეების მოღვაწეობა ს. ქვაყუდეში. გლეხები იმდენად დაშინებული არიან, რომ ვერ ბედავენ ხმის ამოღებას. სოფელი ჩამორჩენილია კულტურულად და ეკონომიურად. პარტიული მუშაობა მოიწყებულია.

რამდენჯერმე იყო გაზეთებში შენიშვნები ქვაყუდის ჭირ-ვარამზე, რომელიც აქაურ ხელმძღვანელებს ეხებოდა, მაგრამ რა?—შეაყარეთ კედელს ცერცვი, ყველა ძირს ჩამოცვივდება.

ნოე შანიძე.

საერთო ძალით

სოფელი დირბი (გორის მაზრა)

დილით, ჯერ ისევ მთვარის მკრთალ შუქზე, გაისმა სოფელში ხმაურობა, ამოძრავდა დიდი და პატარა; მეხრეები მხნედ გაჰკივიან ხარებს და ხალისით უტკაცუნებენ საბრებით. ისმის გუთნის დედების დინჯი გამაფრთხილებელი ხმა: „გვერდზე მოიკა მერცხალს, მიაყოლე ფარნა“.

შორს, მინდვრის თვალ-უწვდენელ სივრცეში გაისმის გუთნების ჭრიალი... ეს შესძინეს მოსახნავად გლეხკომის მამულს...

გაისმის მხიარული ოროველა; მეხრეები და გუთნის დედები ერთიმეორეს ხმა მაღლა გასძახიან, ხუმრობენ, ლაღობენ. დღეს მოიხნა 25 დღის მთლიანი მიწის ნაკვეთი გლეხკომისა. ხვალ მეტი გვაქვს გასაკეთებელი... უზარმაზარი სოფელი უწყლობით იტანჯება. დამშრალ, ამომშრალ, დახავსებულ წყლით იკლავს წყურვილს. მაგრამ მალე ამასაც მოეღება ბოლო. მალე სიამით ატოკებს სოფლის გატრუსულ, მიყრუებულ წყაროს მხიარული ჩქრიალი...

მაზრა დაგვპირდა დახმარებას... კიდეც დაგვეხმარება... ჩვენ შევძლებთ მიყრუებულ სოფლის გამოცოცხლებას... ჩვენ კოლექტიურად შეკავშირებულნი გამოვალთ უკუნეთ წყვდიადიდან.

ხერხარი.

წერილებიდან

წიგნი გაზეთის მაგიერ. სოფელი ჩემოხეთი გურიის ერთ-ერთ საჩაერო ადგილად ითვლება. ზაფხულობით აქ ბლომად იყრის თავს სხვადასხვა ქალაქებიდან დასასვენებლად ჩამოსული მოქალაქეები. იმის მაგივრად, რომ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა აწარმოონ გლეხებში და ისარგებლონ ადგილობრივ სამკითხველოთი, ისინი დილიდან საღამომდი ტყეებში სხედან და ბანქოს თამაშობაში ატარებენ დროს.

დუმიკე.

ხორცს სჭამენ-ტყავს იტოვებენ. საგარეჯოში ამ უკანასკნელ ხანებში ქურდ-ბაცაცობამ საზიზღარი ხასიათი მიიღო, რამდენიმე ხნის განმავლობაში ოთხ გლეხს მოჰპარეს ოჯახის მარჩენალი კამეჩები, გაიტაცეს ტყეში, დაჰკლეს, გაატყავეს, ხორცი დასტოვეს და ტყავები წაიღეს. მილიციას მეტი სიფხიზლე მართებს, თორემ სოფლის ბნელ ძალებს თავი გაუვიდათ.

[illegible]

უმგვანო შურისძიება. 5 სექტემბერს ს. გიორგიწმინდის (გარე-კახეთი) მცხოვრებ აბრამ მეკოკიშვილის საბძელს ვიღაც ბოროტმა პირმა ცეცხლი გაუჩინა. საბძელი იყო წნული და ჩალით დახურული. ამიტომ ცეცხლის დაქრობა ველარ მოესწრო. დაიღუპა ათასხუთასი მანეთის ქონება.

მ. გურგენიძე.

სახელი ღარიბების, სახრავი მდიდრების. წელს სიღნაღის მაზრის ს. ყანდაურაში მეტად დააზიანა სეტყვამ მოსავალი. მთავრობამ დახმარება აღმოუჩინა. მაგრამ მიღებული ფქვილი სხვებთან ერთად დაურიგეს: ანტონ აბესაძეს, ილია ჯავახიშვილს, ართემა არუთინოვს, გიგო ლაზარაშვილს და სხვებს, რომლებსაც სარჩო-საბადებელი საკმარისზე მეტიც გააჩნიათ.

მეთვალყურე.

ორი თვის ჯამაგირები ყაჩაღებმა წაიღეს. ჩხოროწყუს რაიონის განათლების მუშაკთა კავშირის მდივანს მოჰქონდა ზუგდიდიდან მასწავლებლებისათვის დასარიგებელი ივნის-ივლისის ჯამაგირები 2779 მანეთი. გზაზედ ყაჩაღებმა მდივანი დასჭრეს და ფული გაიტაცეს. მასწავლებლებს დღემდი არავინ არ უნაზღაურებს დანაკლისს. საჭიროა ცენტრალურ ხელისუფლების ყურადღება.

მასწავლებელი შელეგია.

ვის უნდა ებაროს გასაღები? ს. ქვაყუდე (ქუთ. მ.) ჩამორჩენილია ყოველმხრივ. აქ არც საბჭოთა და არც პარტიული მუშაობა არ სწარმოებს თავის სიმაღლეზე, რაც ადგილობრივ მუშაკების უმოქმედობას მიეწერება. სხვათა შორის აქ არის კლუბი, რომლის კარებიც მუდამ გამოკეტილია. გასაღები აბარია ვასილ შანიძეს, ის ათი ვერსის მანძილზე ცხოვრობს კლუბიდან. ხშირათ უსარგებლოთ გვიხდება ვასილთან გასაღებისათვის სიარული, რადგან ყოველთვის სახლში არაა. თემაღმასკომო, ვის უნდა ებაროს კლუბის გასაღები?

პ. ობოლი.

კონცერტი რჩეულთათვის. თელავის ახლად გახსნილ სახალხო სახლში მომღერლებმა ქუმსიშვილმა და ელიოზიშვილმა გამართეს კონცერტი. ფასები ისე დიდი და ხელმიუწვდომელი იყო, რომ ამ კონცერტით მხოლოდ მოხელეებმა ისარგებლეს. სახალხო სახლში ასეთი რამ დაუშვებელია.

მ.

თავის ერთგული შვილადაძე. ს. კვალითში (შორ. მ.) სამკურნალო აბანო აღებული აქვს იჯარით ვინმე შვილადაძეს. ის თავს არ ღალატობს, მაგრამ მეაბანოვეთ უმოწყალოთ ატყავებს და თან განკურვის მაგიერ საშიშროებაში აგდებს. ერთ და იმავე წყალში ხუთჯერ უშვებს ავადმყოფებს; ბინა ვიწრო და უსუფთაოა აქ, ფულს კი ბლომად ახდევინებს ჩამოსულებს. თუ ვინმემ ეზოში გაათია ღამე, ვერც ის გადაურჩება შვილადაძის ბრჭყალებს. ამბობენ მას სხვა ცოდვებიც აქვსო, მაგრამ ჯერ ესეც კმარა.

პიკო.

დაუმსახურებელი ბრალდება. გაზ. „კომუნისტის“ 30 აგვისტოს №-ში მოთავსებული კალანდაძის წერილი, რომელიც „ჩინოვნიკს“ უწოდებს და შეურაცხმყოფით იხსენიებს ექიმ-ლაბორანტ ანთაძეს. გაცნობებთ, რომ კურორტ ბახმაროზე ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ დაწესებული იყო ლაბორატორიულ გამოკვლევისათვის შეღავათიანი გადასახადი დაზღვეულებისათვის. ამრიგათ ანთაძე ასრულებდა თავის პირდაპირ მოვალეობას. მას არავისთვის უკანონოთ ფული არ გადაუხდევინებია. კალანდაძის გამოლაშქრება ექიმ ანთაძის წინააღმდეგ მიმაჩნია უსამართლოთ და დაუშვებლად.

აგარაკ ბახმაროს დირექტორი ექ. ალ. კანდელაკი.

სოფლის ქრონიკა

— **ბაზრობა სოფლად.** ოზურგეთის აღმასკომმა დააწესა სოფ. შუხუთში სამშაბათ დღეებისთვის ბაზრობა.

